საქართველო

ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის სახელმძღვანელო

ნოემბერი 2018

სარჩევი

აბრევიატურები და აკრონიმები 4

განსაზღვრებები 5

1. შესავალი 8

1.1. თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის, პროგრამის მიზნები 10

1.2. თანადაფინანსების გრანტების პროგრამის აღწერა 10

2. საკვალიფიკაციო კრიტერიუმები 13

2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები განმცხადებლებისთვის 13

2.2. დასაშვები პროექტები/საქმიანობები 14

2.3. მიზნობრივი ხარჯები 14

3. შესყიდვების პროცედურები 17

3.1. თაღლითობა და კორუფცია 24

4. განაცხადების წარდგენა 26

4.1. თანხმობა კონკურსის პირობებზე 26

4.2. ინტელექტუალური საკუთრების და 'ნოუ-ჰაუს' მოთხოვნები 26

4.3. განაცხადის ფორმები და თანდართული დოკუმენტაცია 27

4.4. განაცხადის შემოტანის ინსტრუქციები 29

5. პროექტის შეფასება და დაფინანსების გადაწყვეტილება 31

5.1. ტექნიკური შემოწმება 31

5.2. განაცხადების წინასწარი შეფასება 34

5.3. საბოლოო შეფასება საინვესტიციო კომიტეტის მიერ 39

5.4. მოლაპარაკებები და გრანტების მინიჭება 42

6. პროექტის განხორციელება და მონიტორინგი 43

6.1. პროექტის განხორციელება 43

6.2. გადახდები 44

6.2.1. ხარჯებისა და ნაშთების გაანგარიშება 46

6.3. პროექტის მონიტორინგი 49

6.3.1. ანგარიშგება 52

6.3.2. პროექტის განხორციელების ანგარიში 53

6.3.3. ფინანსური ანგარიში 54

6.3.4. მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ვიზიტები 55

6.4. მთავარი საქაღალდე 55

6.5. დაფინანსების შეწყვეტა 56

7. დანართები 58

აბრევიატურები და აკრონიმები

BfD	Broadband-for-Development ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვიტარებისთვის
CICs	Community innovation centers ინოვაციური ცენტრები
EMP	Environmental Management Plan ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მართვლის გეგმა
ESMF	Environmental and Social Management Framework ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი
ESMP	Environmental and Social Management Plan ბუნებრივ და სოციალრ გარემოზე ზემოწმედების მართვის გეგმა
FAQ/ხდკ	Frequently Asked Questions ხშირად დასმული კითხვები
GFMES	Grants Financial Monitoring & Evaluation Specialist გრანტების ფინანსური შეფასების და მონიტორინგის სპეციალისტი
GENIE	Georgia National Innovation Ecosystem (Project) საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტების პროექტი
GITA	Georgia Innovation and Technology Agency საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
IIC	Independent Investment Committee დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტი
RIHs	Regional innovation hubs რეგიონალური ინოვაციური ჰაბები
SOE	Statement of expenditures ხარჯების უწყისი

განსაზღვრებები

განაცხადი	განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტაციის და მონაცემთა პაკეტი, საპროექტო წინადადების ჩათვლით.
საპროექტო წინადადება	საპროექტო წინადადება განაცხადის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. იგი შედგება: ბიზნესგეგმის, პროექტის ბიუჯეტის, ფინანსური პროგნოზის და აპლიკანტის განცხადებისაგან.
პროექტის შეთანხმებული ბიუჯეტი	საპროექტო წინადადებაში შეტანილი განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტის ბიუჯეტი, რომელიც საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ არის
საგრანტო კონკურსი	განცხადება, რომელიც განსაზღვრულია იმ განმცხადებლებისთვის რომლებიც აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ისეთი საპროექტო წინადადებების წარმოდგენის შესაძლებლობის მისაცემად, რომლებიც შეესაბამება თანადაფინანსების გრანტის პროგრამის მიზნებს.
საინვესტიციო კომიტეტი	თანადაფინანსების გრანტების მისანიჭებლად საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ შექმნილი დამოუკიდებელი, გადაწყვეტილების მიმღები ორგანო.
ბენეფიციარი	საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან შესაბამისობაში მყოფი განმცხადებლები, რომლებმაც ხელი მოაწერეს საგრანტო დაფინანსების ხელშეკრულებას.
საგრანტო ხელშეკრულება	ბენეფიციარისა და სააგენტოს (GITA) მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ამ ორი მხარის პასუხისმგებლობებს.

საბოლოო ანგარიშსწორება	საქართველოს ინოვაციები და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის პროექტის დასრულებისას ხელმოწერილი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროექტის განხორციელების დასრულებას და მოვალეობების შესრულებას საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში.
განმახორციელებელი სააგენტო (სააგენტო)	საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA).
ტექნიკური შემოწმება	განაცხადების შემოწმების პირველი ეტაპი, სადაც განაცხადები მოწმდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების, ადმინისტრაციული და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესატყვისობის და ინტელექტუალური საკუთრების კუთხით.
წინასწარი შეფასების ეტაპი	განაცხადების შეფასების მეორე ეტაპი, როდესაც განაცხადები ფასდება ორი, დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტ-შემფასებლის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ამ სახელმძღვანელოს მე-5 თავშია ჩამოთვლილი.
წინასწარ შერჩეული განაცხადები	იმ საპროექტო წინადადებების სია, რომელიც გადავიდა შეფასების ბოლო ეტაპზე და დალაგებულია მათ მიერ მიღებული ქულების კლებადობის მიხედვით. ხოლო ამ განაცხადებში მოთხოვნილი საგრანტო თანხების ჯამი საგრანტო კონკურსის მთლიან ბიუჯეტს მაქსიმუმ ორჯერ აღემატემა.

მოლაპარაკების ეტაპი	საკონტრაქტო მოლაპარაკების ეტაპი რათა აღმოფხვრილ იქნას განაცხადების შეფასების პროცესში წარმოქმნილი ნებისმიერი გაურკვევლობა. ამ ეტაპზე ასევე ხდება დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნა და საპროექტო წინადადებებში ცვლილებების შეტანა, ასეთის საჭიროების შემთხვევაში

1. შესავალი

თანადაფინანსების გრანტების პროგრამა (MG) წარმოადგენს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის[1] (GENIE) პროექტის შემადგენელ კომპონენტს , რომელსაც საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) ახორციელებს. GENIE პროექტის მთავარი მიზანია საქართველოში მოღვაწე ფირმებისა და ინდივიდების ინოვაციური აქტივობების და ციფრულ ეკონომიკაში მათი მონაწილეობის გაზრდა. GENIE დაფინანსებულია რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხით, რომლისსაერთო ბიუჯეტი 40 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

GENIE გააუმჯობესებს საქართველოს ეროვნულ ინოვაციების ეკოსისტემას **სამი კომპონენტით** ინტეგრირებული მიდგომის მეშვეობით.,

კომპონენტი 1 - ინოვაციების ინფრასტრუქტურა

ეს კომპონენტი: (ა) განავითარებს ინოვაციების ჰაბებისა და ცენტრების ქსელს საქართველოს მასშტაბით შერჩეულ დიდ და მცირე ქალაქებსა და სოფლებში; და (ბ) დაგეგმავს და საცდელად გაუშვებს პროგრამას - ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის (BfD), რათა მხარი დაუჭიროს საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შესატყვისი შინამეურნეობების და მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების მიერ ფართოზოლოვანი ინტერნეტ-მომსახურების და მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების მასშტაბების ზრდას, სასოფლო დასახლებებზე ფოკუსირებით.

კომპონენტი 2 - ინოვაციების სერვისები

ეს კომპონენტი გულისხმობს ინოვაციების ცენტრებთან და რეგიონულ ინოვაციების ჰაბებთან კორდინირებით, პროექტის ბენეფიციარებისათვის მომსახურების მიწოდებას. კომპონენტი ასევე მოიცავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას, ტრეინინგებსა და ტექნიკურ დახმარებას შემდეგ საკითხებში: (ა) ინოვაციების საზოგადოების შექმნა საქართველოში და ინოვაციების კონკურსების ორგანიზება (ბ) ფირმების წარმომადგენლების ტექნიკური უნარების პერიოდული შეფასება და გაუმჯობესება ციფრული ეკონომიკის საკითხებში და მათი ინოვაციების უნარ-ჩვევების გამომუშავება/გაუმჯობესება.

კომპონენტი 3 - ინოვაციების დაფინანსება

ეს კომპონენტი მოიცავს: (ა) **თანადაფინანსების გრანტების უზრუნველყოფას,** საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შესატყვისი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების შერჩევას თანადაფინანსების გრანტების მისაღებად, და თანადაფინანსების გრანტების ზედამხედველობას; (ბ) ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შესატყვისი საწარმოებისათვის ქვე-პროექტების მომზადებისა და განხორციელების მიზნით (თანადაფინანსების გრანტებით); და (გ) ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას ინოვაციების დაფინანსების ალტერნატიული ფორმების და ციფრულ ეკონომიკაში ინვესტირების სტიმულირებისათვის.

GENIE პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია და შესაბამისად, თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ადმინისტრატორია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექვემდებარება. საქართველოს მთავრობამ სააგენტო 2014 წლის 19 თებერვლს, No. 172 ბრძანებულებით დააფუძნა. სააგენტო პასუხისმგებელია საქართველოში ინოვაციების პოლიტიკის განხორციელებაზე, რაც ასევე გულისხმობს მოწოდების კუთხით არსებულ იმ საბაზრო სირთულეებზე რეაგირებას, რაც ზღუდავს ქვეყანაში კვლევისა და ინოვაციების განვითარებასა და ხარისხს, და რაშიც შედის ადრეულ ეტაპზე დაფინანსება და ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა.

სააგენტო პასუხისმგებელია GENIE პროექტის განხორციელებაზე, რაც ასევე მოიცავს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ადმინისტრირებას, რომელსაც ახორციელებს სააგანეტოში არსებული კონკრეტული სტრუქტურული ერთეული, ინოვაციების და კომერციალიზაციის დეპარატამენტი. აღნიშნული დეპარტამენტის ფუნქციაა დაგეგმოს, განახორციელოს და მონიტორინგი გაუწიოს პროექტით დაფინანსებულ აქტივობებს. ასევე, პროექტის პროგრესზე ანგარიშვალდებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისიტროსა და მსოფლიო ბანკის წინაშე. მისი ფუნქცია ასევე მოიცავს იმ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას, რომლებიც მონაწილეობენ პროექტში GENIE. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციაა მეთვალყურეობა და კოორდინაცია. სააგენტო შექმნის დამოუკიდებელ ორგანოს, საინვესტიციო კომიტეტს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება თანადაფინანსების გრანტების მინიჭების გადაწყვეტილებაზე.

GENIE აგრეთვე უზრუნველყოფს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ადმინისტრირების, გრანტის განმცხადებლებისა და გამარჯვებულების ტრენინგისა და ქოუჩინგის ხარჯებს. ამგვარი დახმარება საჭიროა, რადგან მონაწილეთა დიდი

ნაწილი არასაკმარისად გამოცდილია თანადაფინანსების გრანტების განაცხადების წარდგენისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის დარგში. გრანტზე განაცხადების შემოტანის პროცესში ჩატარებული სემინარები და ტრეინინგები უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის განაცხადების მიღებას. თითოეული ბენეფიციარისთვის წელიწადში განსაზღვრულია 10-დღიანი ქოუჩინგი ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების კომბინირებული ძალისხმევით. ტრენიგები და ქოუჩინგი ჩატარდება სააგენტოს მიერ მოწვეული ექსპერტების ჯგუფის მიერ, რაც საჭიროა მე-2 კომპონენტის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად.

მოცემული თანადაფინანსების გრანტების სახელმძღვანელო მომზადდა, რათა სხვა საკითხთა შორის დაზუსტდეს გრანტის მიზნები, ბენეფიციართა საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, გრანტების მაქსიმალური მოცულობა, მიზნობრივი ხარჯები, პროექტის შერჩევისა და შეფასების პროცესი, ანგარიშგება და შესყიდვების მეთოდები.

1.1. თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის, პროგრამის მიზნები

თანადაფინანსების გრანტების მიზანია, საქართველოში, საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური[2] პროდუქტების და მომსახურების შემუშავება-ათვისების და კომერციალიზაციის გზით ინოვაციების და ინოვაციური საწარმოების წარმოქმნის სტიმულირება.

1.2. თანადაფინანსების გრანტების პროგრამის აღწერა

თანადაფინანსების გრანტები წარმოადგენს დაფინანსების ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ ინსტრუმენტს, რომელიც ინოვაციის მხარდასაჭერად გამოიყენება როგორც განვითარებული ისე განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. GENIE პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის. ქვემოთმოცემულ ცხრილში აღნიშნულია საგრანტო სქემის ძირითადი მახასიათებლები.

[2] ინოვაციურობა შესაძლოა ეხებოდეს პროდუქტებსა და მომსახურებებს და ასვე ტექნოლოგიებს და პროცესებს

ცხრილი 1: თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის

	თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის
მიზანი	ახალი, ინოვაციური სტარტაპების/დამწყები საწარმოების განვითარების სტიმულირება
მიმღები	დამწყები, 2 წლამდე, კერძო, მცირე საწარმოები
გრანტის მოცულობ	არაუმეტეს 100'000 ლარისა
ხანგრძლივობა	არაუმეტეს 12 თვისა
კერძო თანადაფინანსება (ფინანსური წვლილი)	პროექტის ღირებულების სულ მცირე 10%-ის ოდენობით. რომ თანადაფინანსების წყაროს წარმოადგენდეს კერძო ხოლო სახელმწიფო გრანტებით თანადაფინანსების წარმოდგენა დაუშვებელია. მოთხოვნიდან გამომდინარე, მომავალი საგრანტო კონკურსებისთვის წარმოსადგენი თანადაფინანსება შესაძლოა გაიზარდოს*.

* შენიშვნა: საპილოტე საგრანტო კონკურსების შედეგებიდან გამომდინარე კერძო სექტორის თანადაფინანსების შენატანი შესაძლოა მომდევნო საგრანტო კონკურსებისთვის შეიცვალოს.

GENIE პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი თანადაფინანსების გრანტებისათვის გამოყოფილი მთლიანი ბიუჯეტი 7.05 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება კონკურსის საფუძველზე, სააგენტოს დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტის მიერ.

თანადაფინანსების გრანტების პროგრამის განხორციელებისას, საგრანტო კონკურსი გამოცხადდება GENIE-ს პროექტის გეგმის და წლიური ბიუჯეტში გრანტისთვის გამოყოფილი სახსრების საფუძველზე. თანადაფინანსების გრანტების კონკურსი წელიწადში ერთხელ გამოცხადდება. თითო კონკურსის მთლიანი ბიუჯეტი 2 მილიონ ლარს შეადგენს.

თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის არის მცირე ზომის თანადაფინანსების გრანტები. მისი მიზანია ბოლო ორი წლის განმავლობაში, საქართველოში რეგისტრირებული დამწყები კერძო და მცირე საწარმოების (რომლებიც პროექტის კონცეფციის გამოცდის ეტაპზე იმყოფებიან ან გააჩნიათ ახალი ინტელექტუალური საკუთრება 'ნოუჰაუს') შექმნა და საბაზრო პოტენციალის მქონე ტექნოლოგიური ინოვაცია.

თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში გაცემული დაფინანსება

განკუთვნილია მაქსიმუმ ერთწლიანი პროექტებისათვის და არ უნდა აღემატებოდეს პროექტის შეთანხმებული ბიუჯეტის, 90 პროცენტს და 100’000 ლარს. პროექტის ბიუჯეტის მინიმუმ 10 პროცენტი განმცხადებლის მიერ ნაღდი ფულით უნდა იქნას უზრუნველყოფილი, სხვა, სასურველია - კერძო სექტორის, წყაროებიდან. სახელმწიფო გრანტები თანადაფინანსების წყაროდ არ უნდა იყოს წარმოდგენილი. მომდევნო საგრანტო კონკურსებისათვის კერძო სექტორის თანადაფინანსების წილი შესაძლოა გაიზარდოს, რაც დამოკიდებულია პროგრამით დაინტერესებაზე და საცდელ ეტაპზე წარმოდგენილი განაცხადების ხარისხზე. განმცხადებლებზე ფინანსური ტვირთის შესამსუბუქებლად, კერძო თანადაფინანსება მოთხოვნილი იქნება გრანტის ტრანშების გრაფიკის შესაბამისად, ამ სახელმძღვანელოს 6.2.1 თავში წარმოდგელი გრაფიკის შესაბამისად. ტრანშები კვარტალურად გაიცემა და შესაბამისობაში იქნება ხარჯვის გეგმასთან, რომელიც საგრანტო განაცხადის ფარგლებში მომზადდა. დაფინანსების პროდუქტიული და გამჭვირვალე გამოყენების უზრუნველსაყოფად, პროექტის მიმდინარეობის და ფინანსური და ანგარიშები სააგენტოს მიერ კვარტალურად შემოწმდება, შესაბამისი კვარტალური გადახდის წინ. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად ჩამორჩება დაგეგმილს, სააგენტო გადაწყვეტილებას მიიღებს პროექტში შესწორებების შეტანის ან მისი შეწყვეტის თაობაზე.

თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში მიზნობრივად მიჩნეული ხარჯებია: პროტოტიპირება, კონცეფციის დამტკიცება, ბიზნესის განვითარება, ინტელექტუალური საკუთრების განაცხადები და საზღაურები, კვლევითი და საცდელი მომსახურებები და ქვეკონტრაქტები, შემუშავებული ინოვაციების ტესტირება და გამოცდა, ბიზნეს გეგმის მომზადება შემდგომი კაპიტალის მობილიზებისათვის, კომერციალიზაცია, და სხვა. გრანტის თანხის არამიზნობრივი ხარჯების ჩამონათვალი ამ სახელმძღვანელოს 2.3 ქვე-თავშია მოცემული.

თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის ეფუძნება იმ აზრს, რომ ახალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული დამწყები საწარმოები განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან და ფინანსურ დახმარებას საჭიროებენ, რადგან პროდუქტის შემუშავების და მის ბაზარზე გატანის პერიოდში მათ მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აქვთ შემოსავლების მიღების კუთხით. ამ ფირმებს არ გააჩნიათ ფულადი სახსრები, იმისათვის, რომ სესხის კაპიტალი მოიზიდონ სტანდარტული პირობებით. გარდა ამისა, მათი აქტივების დიდი ნაწილი არამატერიალურია, მაგალითად: ინტელქტუალური საკუთრება, რომლის შეფასება რთულია. იმისათვის, რომ ზრდის მაღალი პოტენციალის მქონე ინოვაციურმა ფირმებმა თავიანთი იდეის ტექნიკური და კომერციული სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნონ, საჭიროებენ სპეციალურ დაფინანსებას,

რომლის წყაროსაც ხშირად სახელმწიფო წარმოადგენს. შესაბამისად, თანადაფინანსების გრანტების მიზანია, ხელი შეუწყოს ადრეული ეტაპის ინოვაციებს და ასევე მოახდინოს სამეწარმეო აზროვნების განვითარების სტიმულირება ქართულ საზოგადოებაში, რაც გამოიხატება საწარმოებისათვის ინოვაციების და ბაზარზე გასატანი ტექნოლოგიების სტიმულირების უზრუნველყოფაში.

2. საკვალიფიკაციო კრიტერიუმები

თითოეული მიღებული განაცხადი შეფასდება და მისი დასაშვებობა დადგინდება სამი ტიპის საკვალიფიკაციო კრიტერიუმის საფუძველზე: (1) განმცხადებლების შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან; (2) საქმიანობების/პროექტების შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და (3) ხარჯების მიზნობრიობა.

2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები განმცხადებლებისთვის

1. განმცხახდებელი წარმოადგენს საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომრეციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტს;

   ან

   რეგისტრაციის არმქონე ფიზიკურ პირს ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს, რომელთაც გააჩნიათ ინოვაციური ბიზნეს იდეა. რეგისტრაციის არმქონე ფიზიკური პირების შერჩევის შემთხვევაში მათი დარეგისტრირება მოხდება კონტრაქტის გაფორმებამდე;

2. საგრანტო კონკურსის გამოცხადების დღისთვის, კომპანიის რეგისტრაციიდან გასული არ უნდა იყოს 2 (ორ) წელზე მეტი;
3. კონკურსის გამოცხადების დღემდე ბოლო თორმეტი თვის მონაცემებით3 კომპანიის წლიური ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს 500’000 (ხუთასი ათას) ლარს;
4. განმცხადებელი კომპანიის წილის 50%-ს ან მეტს არ უნდა ფლობდეს სხვა კომპანია.
5. განმცხადებელი, როგორც მეწარმე სუბიექტი, არ უნდა იყოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის წინა რაუნდების ბენეფიციარი.

დამატებით, აპლიკანტის განცხადებაში (**დანართი MG5**) განმცხადებელმა უნდა

[3] თუ მოწვევა გამოქვეყნდა თვის შუა რიცხვებში მაგ 13 აგვისტოს, მაშინ ივლისი წარმოადგენს ზემოხსენებული პერიოდის მე-12 თვეს

დაადასტუროს, რომ:

- იგი არ არის გაკოტრებული, გადახდისუუნარო, ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის პროცესში, არ არის რეგისტრირებული აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრში და ამასთან დაკავშირებით მისი საქმე არ იმყოფება სასამართლო წარმოებაში, არ აქვს შეჩერებული ბიზნეს საქმიანობა, და ამ საკითხებთან დაკავშირებით არ არის აღძრული საქმე, ასევე არ იმყოფება ზემოხსენებულის ისეთ ანალოგიურ სიტუაციაში, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით;
- მისი დამფუძნებლები ასევე არ არიან მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებულნი;
- იგი არ არღვევს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსხაზღვრულ საგადასახადო ვალდებულებებს.

2.2. დასაშვები პროექტები/საქმიანობები

თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ტექნოლოგიაზე დაფუძნებული პროექტები-საქმიანობები, გარდა:

1. სამხედრო, ბირთვულ ტექნოლოგიებთან, სპირტის და სპირტიანი[4] სასმელების, თამბაქოს, და სახიფათო ნივთიერებების წარმოებისა;
2. ან ნებისმიერი სხვა საქმიანობისა, რომელიც შეტანილია პროექტის GENIE ESMF-ის („ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი“) II დანართში მოცემულ აკრძალულ საქმიანობათა ნუსხაში (იხ. **დანართი MG1**).

2.3. მიზნობრივი ხარჯები

გრანტი დაფარავს მხოლოდ ‘მიზნობრივ ხარჯებს’. ქვემოთ მოყვანილია მიზნობრივი და არამიზნობრივი ხარჯის კატეგორიები.

ბიუჯეტი წარმოადგენს როგორც ხარჯთაღრიცხვას, ასევე ‘მიზნობრივი ხარჯების’ საერთო ზედა ზღვარს.

მიზნობრივ ხარჯებად შეიძლება ჩაითვალოს ის ხარჯები, რომელიც ყველა ქვემოთ მითითებულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

[4] ღვინის ინდუსტრიასთან დაკავშირებული პროექტები დასაშვებად იქნება მიჩნეული თუ იგი არ ეხება სპირტის ან სპირტის შემცველი პროდუქტების წარმოებას.

(1) ხარჯი გაწეულია შეთანხმებული პროექტის ბიუჯეტის თანახმად;

(2) გაწეული და გადახდილია პროექტის განხორციელების პერიოდში.

(3) მიზნობრივი და აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად;

(4) აღრიცხულია ბენეფიციარის საბუღალტრო ჩანაწერებში;

(5) შეესაბამება ადგილობრივ საგადასახადო კანონმდებლობას;

სააგენტო რეკომენდაციას გიწევთ, რომ პროექტის ბიუჯეტის დაგეგმვა და ხარჯების გადანაწილება დაახლოებით შემდეგნაირად მოახდინოთ:

1. ხელფასები: უნდა მოიცავდეს პროექტზე მომუშავე თანამშრომლების ყველა გადასახადს თუ სოციალურ სარგებელს. მაქსიმალური დასაშვები ერთი სახელფასო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს საშუალო ხელფასის სამმაგ ოდენობას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო სტატისტიკის შესაბამისად (საქსტატი)[5];

2. წარმოებისათვის საჭირო აღჭურვილობა, მანქანა-დანადგარები და კვლევითი და საცდელი სამუშაოებისათვის საჭირო სასაქონლო მატერიალური მარაგები არ უნდა აღემატებოდეს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 50%-ს. სათანადოდ დასაბუთებულ და კონკრეტული პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე სააგენტომ შესაძლოა დაუშვას ზემოხსენებული ზღვრული ხარჯების გადაჭარბება;

3. კვლევითი და საცდელი მომსახურება, ქვეკონტრაქტები[6];

4. კვლევითი და საცდელი დარგის ექსპერტები/მრჩევლები;

5. საპატენტო განაცხადი და მისი საზღაური, სერტიფიკატები;

6. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს პროექტის საჭიროებებიდან და არ განეკუთვნება ქვემოთმოყვანილი არამიზნობრივი ხარჯების კატეგორიას.

თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულმა ბენეფიციარებმა, გრანტით მიღებული სახსრების ფარგლებში საქართველოს

[5] http://www.geostat.ge

[6] მესამე მხარესთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს დებულებას, იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი ინარჩუნებს ყველა იმ ინტელექტუალური საკუთრებას და ნოუჰაუს,

რომელიც შესაძლოა წარმოიშვას პროექტის განხორციელების პროცესში. საგადასახადო კოდექსის შესაბამისად უნდა ისარგებლონ დამატებითი ღირებულების და მოგების გადასახადებთან დაკავშირებული შეღავათებით.

არამიზნობრივი ხარჯები:

ქვემოთ ჩამოთვლილია ის ხარჯები, რომელიც სააგენტოს მიერ გაცემული საგრანტო დაფინანსების ფარგლებში არამიზნობრივად ჩაითვლება:

1. ნებიესმიერი მხარისათვის გადასახდელი პროცენტი ან ვალი;
2. გაუთვალისწინებელი ხარჯები ან რეზერვები შესაძლო მომავალი დანაკარგებისა ან დავალიანებებისათვის;
3. დღგ-ს[7], მოგების და იმპორტის გადასახადი იმ შეღავათების შესაბამისად, რაც ბენეფიციარებისათვის არის გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამის მუხლებში.
4. ბიუჯეტის ის პუნქტები, რომელიც უკვე დაფინანსებულია სხვა სტრუქტურის, პროგრამის ან კომპანიის/დაწესებულების მეშვეობით (ორმაგი დაფინანსების თავიდან აცილება);
5. კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული დანაკარგები, აგრეთვე მოსაკრებლები და ჯარიმები;
6. გართობისა და წარმომადგენლობითი ხარჯები;
7. ადგილმონაცვლეობის ხარჯები ან შეწირულობები;
8. მიწისა და შენობების შესყიდვა;

დაუშვებელი ხარჯების გარდა, განმცხადებლებმა, რომლებიც დაფინანსების მიღების შემთხვევაში ბენეფიციარებად იწოდებიან:

1. არ უნდა განახორციელონ საავანსო გადახდა, რომელიც აღემატება:
   - საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს;
   - სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან

[7] დღგ-ს შემთხვევაში, განმცხადებელს, მომავალში ბენეფიციარს შეუძლია დღგ გრანტის სახსრებიდან დაფაროს, თუმცა, ამგვარი გადახდა ვერ ჩაითვლება მიზნობრივ ხარჯად და შესაბამისად არ იქნება შეტანილი კვარტალური ფინანსური ანგარიშის დანახარჯების ნუსხაში.

დაკავშირებული ხელშეკრულების ღირებულების 20% -ს.

საავანსო გადახდა განხორციელდება კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე, თუმცა, მხოლოდ საკონსულტაციო მომსახურებისათვის, ბენეფიციარს შეუძლია არ მოითხოვოს გარანტია იმ შემთხვევაში თუ ავანსი ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს ან ნაკლებს შეადგენს.

2. ბენეფიციარმა არ უნდა აწარმოოს გადახდა ნაღდი ფულით. პროექტისათვის გაწეული ხარჯები მხოლოდ პროექტის მიზნებისათვის გახსნილი სპეციალური ანგარიშიდან უნდა დაფაროს.

3. შესყიდვების პროცედურები

სააგენტო რეკომენდაციას გიწევთ, რომ საქონლის და არა-საკონსულტაციო/საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა განხორციელოთ ქვემოთ მოცემილი, **სავაჭრო პრაქტიკის** შესაბამისად:

ბენეფიციართა მიერ შესყიდვების განხორციელების ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს საპროექტო წინადადებაში განსაზღვრული შესყიდვების ეკონომიურობას, ეფექტურობას, და გამჭვირვალობას, საქონლის და არა-საკონსულტაციო/საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვების განხორციელების ვადებსა და ხარისხს.

ზოგადად, მომწოდებლების/ფირმების/ინდივიდების შერჩევა ეფუძნება ფასის, ხარისხის, სანდოობის და შესრულებული სამუშაოს მახასიათებლების განხილვას და კონტრაქტი მიენიჭება კვალიფიციური ტენდერის მონაწილის მიერ წარმოდგენილ ყველაზე დაბალი ფასის მქონე დამაკმაყოფილებელ სატენდერო წინადადებას/ფასთა კოტირებას.

იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი არ მიენიჭება ყველაზე დაბალი ფასის მქონე, დამაკმაყოფილებელ წინადადებას, მაშინ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დასაბუთების შემცველი კომენტარი.

არც ერთი კონტრაქტი არ უნდა დაფინანსდეს იმ ფირმის ან ინდივიდის მონაწილეობით, რომელიც არ აკმაყოფილებს მსოფლიო ბანკის დაფინანსებისათვის მისაღებ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპების პარაგრაფების 1.8-1.10 და მსოფლიო ბანკის საკონსულტაციო მომსახურების სახელმძღვანელო პრინციპების პარაგრაფების 1.11-1.13 შესაბამისად.

ბენეფიციარებმა დაფინანსება უნდა გამოყენონ მხოლოდ იმ საქონლისა და მომსახურების შესასყიდად, რომელიც საჭიროა პროექტის განსახორციელებლად. შესყიდვა უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ეკონომიურად, ეფექტურად და გამჭვირვალედ.

პროექტთან დაკავშირებული შესყიდვებისა და შერჩევის და საპროექტო საშუალებების შესახებ ინფორმაცია განსახილველად ხელმისაწვდომი იქნება მსოფლიო ბანკის თანამშრომლებისთვის, აუდიტორებისთვის და სააგენტოს თანამშრომლებისთვის.

კონტრაქტის წინასწარ შეფასებული ღირებულების და მომწოდებლების ხელმისაწვდომობის საფუძველზე, გამოყენებული იქნება შესყიდვის მეთოდების ქვემოთმოცემული ტიპები (იხ. ქვემოთმოცემული ცხრილი 2). ეს მეთოდები გამოიყენება ყველა შესყიდვისთვის, რომელიც ბენეფიციარების მიერ ხორციელდება თანადაფინანსების გრანტების ფინანსური სახსრების გამოყენებით.

ცხრილი 2: შესყიდვის პროცედურები

შესყიდვების მეთოდი	**კონტრაქტის ღირებულების ზღვარი**
ერთი წყაროდან შესყიდვა	30,000.00 აშშ დოლარის ექვივალენტი ან ნაკლები თანხა; 30,000.00 აშშ დოლარზე მეტი თანხა (ექვემდებარება სხვა შეზღუდვებს)
საკონსკურსო ვაჭრობა	30,000.00 აშშ დოლარზე მეტი

ყველა შემთვევაში თავიდან უნდა იქნას აცილებული იმ პუნქტების ხელოვნურად დაყოფა (იმისათვის რომ ინდივიდუალური კონტრაქტის ღირებულება ზემოთ მითითებული ზღვრული თანხის ქვემოთ იქნას შენარჩუნებული), რომელთა შესყიდვაც ჩვეულებრივ ერთად ხდება ხოლმე.

<u>ბენეფიციარების მიერ გრანტის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვის მეთოდები</u>

<u>ა. ერთი წყაროდან შესყიდვა</u>

ერთი წყაროდან შესყიდვა იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ერთი საქმიანობისათვის შესასყიდი საქონლის/მომსახურების მთლიანი ღირებულება 30,000 (ოცდაათიათას) აშშ დოლარზე ნაკლებია ან ტოლია. ბენეფიციარს შეუძლია მიიღოს მხოლოდ ერთი შეთავაზება. სააგენტო ადგილზე შერჩევითად შეამოწმებს შესყიდვების მტკიცებულებებს ინვოისების და კონტრაქტების განხილვის მეშვეობით (კონსულტანტის ავტობიოგრაფიები).

ან

ერთი წყაროდან შესყიდვის მეთოდი გამოიყენება ერთი წყაროსათვის საქონლის/მომსახურების კონტრაქტის მისანიჭებლად, ჩვეულებრივ მოთხოვნილი შესყიდვის პროცედურების გარეშე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც კონტრაქტის წინასწარი სავარაუდო ღირებულება 30,000 (ოცდაათიათას) აშშ დოლარს აღემატება, მაშინ როდესაც სახეზეა ქვემოთმოცემული ერთი, ან მეტი პირობა:

- როდესაც მოთხოვნილი საქონლის/მომსახურების მოსაწოდებლად მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია მხოლოდ ერთი მომწოდებელი/მომსახურების უზრუნველმყოფი;
- როდესაც მოთხოვნილი საქონლის/მომსახურების მოსაწოდებლად არსებობს ერთზე მეტი წყარო, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთს აქვს მწარმოებლის მიერ მინიჭებული ოფიციალური ავტორიზაცია;

<u>**გამონაკლისი:**</u> იმ შემთხვევაში, თუ ჩატარდა სრულფასოვანი კონკურენტული ვაჭრობის პროცესი, რასაც შედეგად მოჰყვა სამზე ნაკლები შეთავაზება, შეიძლება გამოყენებული იქნას ერთი წყაროდან შესყიდვის უფრო მარტივი ფორმა. ამ შემთხვევაში, თუ სახეზეა მხოლოდ ერთი შეთავაზება და იგი დამაკმაყოფილებელია, კონტრაქტი გაფორმდება ამ ერთადერთი შეთავაზების საფუძველზე. თუ მიღებულია ორი შეთავაზება, ტარდება მათი შეფასება და კონტრაქტის მისანიჭებლად შეირჩევა ორიდან ყველაზე დაბალი ფასის მქონე, კრიტერიუმებთან არსებითად შესატყვისი/დამაკმაყოფილებელი შეთავაზება. თუმცა, ამ შემთხვევაში მაინც უნდა მოხდეს ქვემოთმოცემულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

რომელიმე ზემოხსენებული პირობის დადგომის შემთხვევაში, ბენეფიციარმა სააგენტოსთვის უნდა მოამზადოს განმარტებითი წერილი ან მოხსენებითი ბარათი. წერილში აღწერილი უნდა იყოს ზემოთ ჩამოთვლილი რომელი სიტუაციიდან გამომდინარე არის საჭირო ერთი წყაროდან შესყიდვის ჩატარება, ამ პრეტენდენტის დასახელება და მასთან დაკავშირებული სრული დეტალები,

რომელსაც სურვილი აქვს უზრუნველყოს საჭირო საქონელი/მომსახურება, და ამ დანიშნულებით კოტირებული მთლიანი ფასი.

<u>ბ. კონკურენტული ვაჭრობა</u>

კონკურენტული ვაჭრობა გამოიყენება, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი საქმიანობისათვის შესასყიდი საქონლის/მომსახურების მთლიანი ღირებულება 30,000 (ოცდაათიათას) აშშ დოლარს აღემატება. პროცედურის დეტალები ქვემოთ არის მოცემული:

1. ბენეფიციარიავსებს 'ფასთა კოტირებაზე მოწვევის ფორმას' (შესყიდვების ფორმა 1, **დანართი MG7**), რომელიც მოიცავს მოთხოვნილი საქონლის/მომსახურების დეტალურ აღწერას და ტექნიკურ სპეციფიკაციებს. ტექნიკური ფორმის სპეციფიკაციები საკმარისად დეტალური უნდა იყოს იმისათვის, რომ დაინტერესებულმა მონაწილემ გარკვევით შეძლოს მოთხოვნილი საქონლის/მომსახურების ტიპის, ხარისხის, მოცულობის, მოდელის და ა.შ. იდენტიფიცირება, მაგრამ არც იმდენად უნდა იყოს დაკონკრეტებული, რომ აღმოიფხვრას კონკურენცია.

2. ბენეფიციარი რამოდენიმე პოტენციურ ტენდერის მონაწილეს დაურიგებს 'ფასთა კოტირებაზე მოწვევას'. ყველა მოწვევა ერთ დღეს უნდა იქნას გაცემული, რათა ტენდერის მონაწილეებს საკმარისი დრო ჰქონდეთ თავიანთი შეთავაზებების მოსამზადებლად. ფასთა კოტირებაზე მოწვევების გაცემიდან შეთავაზებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე მინიმუმ ერთკვირიანი ვადა უნდა იყოს დაშვებული. შედარებული უნდა იქნას მინიმუმ სამი შემოთავაზება.

3. ტენდერის მონაწილეებმა თავიანთი შეთავაზებები ბოლო ვადისათვის ან უფრო ადრე უნდა წარმოადგინონ, 'ფასთა კოტირებაზე მოწვევაში' მითითებულ მისამართზე.

4. ბენეფიციარის შემფასებელმა კომიტეტმა კენტი რაოდენობის წევრების შემადგენლობით (მინიმუმ სამი) უნდა შეაფასოს შეთავაზებები და შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. ბენეფიციარის ხელმძღვანელი უნდა შედიოდეს შემფასებელი კომიტეტის შემადგენლობაში. იმ შემთხვევაში, თუ შემფასებელი კომიტეტის წევრებს არ გააჩნიათ შეფასებისათვის საჭირო ტექნიკური ცოდნა, შესაძლოა მოწვეულ იქნას საჭირო კომპეტენციის მქონე ექსპერტი, რომელიც არანაირად არ იქნება დაკავშირებული ტენდერის მონაწილეებთან.

5. შეთავაზებების შესაფასებლად გამოყენებული უნდა იქნას ბენეფიციარის

‘სატენდერო წინადადების შეფასების ფორმა’ (შესყიდვების ფორმა 2, **დანართი MG7**). კონტრაქტის მისანიჭებლად შერჩეული იქნება ყველაზე დაბალი ფასის მქონე ტექნიკურად სრულყოფილი შეთავაზება. იმ შემთხვევებში, როდესაც ტენდერის მონაწილისათვის კონტრაქტის მინიჭება არ მოხდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე შეთავაზების საფუძველზე, წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური დასაბუთება. შედეგები აღირიცხება ფორმა 2-ში (**დანართი MG7**) და მას ხელს მოაწერს ბენეფიციარის მიერ უფლებამოსილი პირი (ხოლო როდესაც შეფასების მიზნებისათვის მოწვეულია დამოუკიდებელი ექსპერტი, ფორმას ისიც მოაწერს ხელს).

6. საქონლის მიწოდებისას ან შეკვეთილი მომსახურების დასრულებისას, ბენეფიციარი ჩაატარებს შემოწმებას. შესყიდვის ორდერში მითითებულ სპეციფიკაციებსა და ფაქტიურად მოწოდებულ/გაწეულ საქონელს/მომსახურებას შორის არსებული ნებისმიერი შეუსაბამობა თითოეული გადახდის განხორციელებამდე უნდა შესწორდეს პრეტენდენტის მიერ. იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფილი საქონელი/მომსახურება არ შეესაბამება კონტრაქტის სპეციფიკაციებს და მომწოდებელი უარს ამბობს დაუყოვნებლივ შესწორებების შეტანაზე, ბენეფიციარს შეუძლია მომწოდებელზე გასცეს ‘უარყოფის მემორანდუმი’. ეს მემორანდუმი ფაქტიურად უარყოფს მოწოდებულ საქონელს/მომსახურებას, განმარტავს, თუ რა მხრივ არ შეესაბამება იგი სპეციფიკაციებს, და აღნიშნავს, რომ მითითებული საქონლის/მომსახურებისათვის არ განხორციელდება გადახდა. თუკი არსებული შეუსაბამობა ეხება მხოლოდ კონტრაქტში მითითებულ მოცულობებსა და მოწოდებულ საქონელს/მომსახურებას შორის აღმოჩენილ განსხვავებას, ბენეფიციარის მიერ უფლებამოსილმა პირმა უნდა აღრიცხოს ეს შეუსაბამობა საქონლის/მომსახურების მოწოდების ანგარიშის გრაფაში, კონტრაქტის ბოლოს, და აქვე მითითებული უნდა იქნას საბოლოო გადახდიდან გამოსაქვითი ნებისმიერი თანხები. თუ ბენეფიციარის ხელმძღვანელი კმაყოფილია მოწოდებული საქონლით ან მომსახურებით, იგი ხელს მოაწერს ამ ანგარიშს არსებული სახით და ბენეფიციარის ფინანსების და/ან ბუღალტერიის განყოფილება დაიწყებს ხსენებული მომსახურებისათვის გადახდების განხორციელებას.



ერთი წყაროდან შესყიდვის გამოყენების ყველა შემთხვევა რომელიც განხორციელდა 30,000 აშშ დოლარზე მეტი თანხისათვის, **ასახული უნდა იქნას კვარტალურ ანგარიშში.**

მაშინ, როდესაც გარკვეული საქონლის/მომსახურების მწარმოებლისგან ან მწარმოებლის უფლებამოსილი დილერისგან შესყიდვისას გამოიყენება ერთი წყაროდან შესყიდვის მეთოდი (30,000 აშშ დოლარზე მეტი თანხისათვის), მაშინ მიზანშეწონილია, რომ თავდაპირველად შესყიდული საქონლის/მომსახურების სათადარიგო ნაწილების და/ან დაპატენტებული ნაწარმის შესყიდვაც განხორციელდეს იგივე წყაროდან, ერთი წყაროდან შესყიდვის მეთოდით. ზემოხსენებული უზრუნველყოფს, რომ სათადარიგო ნაწილები და/ან დაპატენტებული ნაწარმი თავდაპირველად შესყიდული საქონლის ანალოგიური ხარისხის, წარმოების, მოდელის და ა.შ. იყოს.



<u>მითითებები 'ფასთა კოტირებაზე მოწვევის' მოსამზადებლად</u> - ბენეფიციარებს მოეთხოვებათ, რომ საპროექტო წინადადების დოკუმენტაციის, შესყიდვების დოკუმენტაციის და კერძოდ კი, ფასთა კოტირებაზე მოწვევის მომზადებისას მიჰყვნენ წინამდებარე სახელმძღვანელოში მოყვანილი ფორმების ნიმუშებს.

<u>შესყიდვებთან დაკავშირებულ საჩივრებზე რეაგირება/დავების გადაჭ რა/ ოფიციალური იურისდიქცია</u>

როდესაც ბენეფიციარის მიერ თანადაფინანსების გრანტის გამოყენებისას შესყიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა იწვევს საჩივრებს და ან დავებს ერთი მხარისაგან ან რამოდენიმე დაინტერესებულ მხარეს შორის, გატარებული უნდა იქნას შემდეგი ზომები:

თუკი დავის მხარეებს წარმოადგენენ ბენეფიციარი და კონტრაქტორი/მომწოდებელი, ბენეფიციარმა თავდაპირველად პრობლემის მოგვარება უნდა სცადოს მოლაპარაკების მეშვეობით. ამ ეტაპზე პროცესი არაფორმალურად წარიმართება, დოკუმენტაციის წარმოების გარეშე. თუმცა, თუ პრეტენზია ამ დონეზე ვერ დაკმაყოფილდა, სააგენტოს მენეჯმენტი შუამავლის როლს შეასრულებს მხარეებს შორის. სააგენტოს მენეჯმენტისათვის გაგზავნილი ნებისმიერი საჩივარი წერილობითი ფორმით უნდა იქნას წარმოდგენილი.

ყველა ზემოხსენებულმა დაინტერესებულმა მხარემ მთელი ძალისხმევა უნდა მიმართოს ამგვარი კონფლიქტების/საჩივრების ესკალაციის გარეშე გადასაჭრელად. შესაძლოა სააგენტომ ჩაატაროს პერიოდული შესყიდვებთან დაკავშირებული შემოწმება, რათა უზრუნველყოს შესყიდვების პროცედურების

დაცვა.

IBRD-ის სახელმძღვანელო პრინციპები:

IBRD-ის სახელმძღვანელო პრინციპები შესყიდვებისა და საკონსულტაციო მომსახურებისათვის ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.worldbank.org/procurement (http://go.worldbank.org/YZVQ9VQ490) ხოლო დისკვალიფიცირებული ფირმების ნუსხა მოცემულია: http://www.worldbank.org/debarr

ბენეფიციარები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ მსოფლიო ბანკის "თაღლითობისა და კორუფციის პრევენციის და მასთან ბრძოლის სახელმძღვანელო პრინციპები, IBRD-ის სესხებითა და IDA-ს კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებული პროექტებისათვის, 2006 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებული და 2011 წლის იანვრის რედაქცია. (ანტი-კორუფციული სახელმძღვანელო პრინციპები), რაც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

http://siteresources.worldbank.org/INTLEGSTAFONLY/Resources/AnticorruptionGuidelinesOct2006RevisedJan2011.pdf

3.1. თაღლითობა და კორუფცია

სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად ბენეფიციარებმა და ისევე როგორც შერჩეულმა მომწოდებლებმა და კონსულტანტებმა მათი შერჩევის პროცესიდან დაწყებული საკონტრაქტო მოვალეობების შესრულებით დამთავრებული, უნდა იხელმძღვანელონ ეთიკის უმაღლესი სტანდარტებით. ამ პოლიტიკის შესაბამისად ბანკი შემდეგნაირად განსაზღვრავს ქვემოთ მოცემულ ტერმინებს:

(i) "კორუფცია" ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე ფასეული ნივთის შეთავაზებას, მიცემას, აღებას ან მოთხოვნას, რაც ზეგავლენას მოახდენს მეორე მხარის ქმედებაზე;

(ii) "თაღლითობა" ნიშნავს განზრახ ან წინდაუხედაობით ფაქტების გამოტოვებას ან არასწორ ინტერპრეტაციას მხარის მიერ ფინანსური ან სხვა სარგებლის მიღების ან მოვალეობის თავიდან აცილების მცდელობის მიზნით;

(iii) "საიდუმლო გარიგება" ნიშნავს საიდუმლო გარიგებას ორ ან მეტ მხარეს შორის, გაუთვიცნობიერებლად ან გათვიცნობიერებით, რაც მიმართულია არამართლზომიერი მიზნის მისაღწევად, მესამე მხარის ქმედებაზე საზიანო ზეგავლენის მოხდენის ჩათვლით;

(iv) "ზეწოლა" ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ დაზიანებას ან დაზიანების მუქარას ადამიანების ან მათი ქონების მისამართით, რათა მოხდეს ზეგავლენა

შესყიდვების პროცესში მათ მონაწილეობაზე, ან კონტრაქტის განხორციელებაზე;

(v) "ობსტრუქცია" ნიშნავს:

(აა) მტკიცებულებების ძალით განადგურება, ფალსიფიკაცია, შეცვლა ან დამალვა გამოძიებისათვის, ან ცრუ ჩვენების მიცემა რათა ხელი შეეშალოს ბანკის გამოძიებას კორუფციასთან, თაღლითობასთან, შეთქმულებასთან, ძალადობასთან დაკავშირებით; და/ან გამოძიებისათვის საჭირო ინფორმაციის მქონე ნებისმიერი მხარის დაშინება ან მუქარა მის მიერ ამ ინფორმაციის გამჟღავნების აცილების მიზნით, ან

(ბბ) ქმედებები, რომელიც მნიშვნელოვნად უშლის ხელს ბანკის ინსპექციისა და აუდიტის უფლების განხორციელებას.

სააგენტო ვალდებულია რეაგირება მოახდინოს კორუფციისა და თაღლითობის ნებისმიერ პოტენციურ გამოვლინებაზე და მხარი დაუჭიროს მსოფლიო ბანკს იმ შესაბამისი დებულებების განხორციელებაში რაც მოცემულია ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპების პარაგრაფ 1.16-სა და სახელმძღვანელო პრინციპები კონსულტანტებისათვის პარაგრაფ 1.23-ში.

აპლიკანტის განცხადების პირობების მიღებამდე, სასურველია რომ განმცხადებელმა ყურადღებით წაიკითხოს მთელი დოკუმენტი და ნებისმიერი შეკითხვის გაჩენის შემთხვევაში დაუკავშირდეს სააგენტოს (საგრანტო პროგრამების კოორდინატორს).

4. განაცხადების წარდგენა

4.1. თანხმობა კონკურსის პირობებზე

იმისათვის, რომ სააგენტომ განიხილოს და შეაფასოს განაცხადი, საჭიროა, განმცხადებელი დაეთანხმოს კონკურსში მონაწილეობის პირობებს. აპლიკანტის განცხადება (**დანართი MG5**), რომელიც ხელმისაწვდომია ონლაინ, მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე თანხმობას:

- თანადაფინანსების გრანტების პირობები;
- საგრანტო დაფინანსების ხელშეკრულების პირობები (**დანართი MG9**);
- ESMF-თან დაკავშირებული პირობა;
- კონფიდენციალურობის და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის პირობები;
- ინტელექტუალური საკუთრების და „ნოუ-ჰაუს“ მოთხოვნებთან დაკავშირებული პირობები;
- ანტიკორუფციული სახელმძღვანელოს პირობები[8].
- ბიზნეს იდეის პრეზენტაციის (pitching) გაშუქებასთან დაკავშირებული პირობები.

4.2. ინტელექტუალური საკუთრების და 'ნოუ-ჰაუს' მოთხოვნები

საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ინტელექტუალური საკუთრების და „ნოუ-ჰაუს“ უფლებების მტკიცებულება, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სალიცენზიო ხელშეკრულებებით, ნატურით მონაწილეობის შეთანხმება, ამგვარის არსებობის შემთხვევაში ოფციონების ან სხვა სავაჭრო ვალდებულებების ხელშეკრულებებით, და სხვა ისეთი შეთანხმებებით რომელიც ადასტურებს, რომ განმცხადებელი ფლობს უფლებას, შემუშავების პროცესში მყოფ თუ დასრულებულ პროდუქტზე ან მომსახურებაზე.

[8] მსოფლიო ბანკის "თაღლითობისა და კორუფციის პრევენციის და მასთან ბრძოლის სახელმძღვანელო პრინციპები, IBRD-ის სესხებითა და IDA-ს კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებული პროექტებისათვის, 2006 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებული და 2011 წლის იანვრის რედაქცია.

ნებისმიერი ახალი ინტელექტუალური საკუთრება და 'ნოუ-ჰაუ', რომელიც შესაძლოა წარმოიშვას პროექტის განხორციელების პროცესში, განმცხადებლის საკუთრებას წარმოადგენს. განმცხადებელმა ნებისმიერ მესამე მხარესთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების მეშვეობით უნდა მოახდინოს ამ ინტელქტუალური საკუთრებისა და 'ნოუ-ჰაუს' უფლებების უზრუნველყოფა.

გრანტის მიღების შემთხვევაში, განმცხადებელმა ასევე უნდა გაითვალისწინოს სააგენტოს რეკომენდაციები.

4.3. განაცხადის ფორმები და თანდართული დოკუმენტაცია

განმცხადებელმა კონკურსის ვადის ამოწურვამდე, თანადაფინანსების გრანტების პორტალის საშუალებით **ქართულ და ინგლისურ ენებზე** უნდა წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები:

პროექტის წინადადების დოკუმენტაცია:

- აპლიკანტის განცხადება (**დანართი MG5**) - ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- ბიზნეს გეგმა (**დანართი MG2**) - ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- პროექტის ბიუჯეტი (**დანართი MG3**) - ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- ფინანსური პროგნოზი (**დანართი MG4**) - ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- გარემოსდაცვითი შეფასების კითხვარი (შემდგომში ESQ) (**დანართი MG1**) - ქართულ და ინგლისურ ენაზე;

თანდართული დოკუმენტაცია:

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ (განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს ექვსი (6) თვით ადრე) გაცემული უახლესი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ასეთის საჭიროების შემთხვევაში[9].* - **ქართულ ენაზე**;
- პროექტისათვის დაქირავებული ან დასაქირავებელი ძირითადი პერსონალის (მაქსიმუმ 5) ავტობიოგრაფიები (CV) და/ან სამუშაოს

[9] თუკი განმცხადებელი წარმოადგენს ფიზიკურ პირს ან ფიზიკური პირთა ჯგუფს, ორგანიზაცია უნდა დაარეგისტრირონ სააგეტოს მოთხოვნის საფუძველზე, და შესაბამისად, ამონაწერი წარმოდგენილი უნდა იქნას მოლაპარაკებების ეტაპზე მოთხოვნილ დამატებით დოკუმენტებთან ერთად

აღწერა[10] - **ქართულ და ინგლისურ ენებზე**;

- ასეთის საჭიროების შემთხვევაში[11], განმცხადებლის უახლესი საგადასახადო დეკლარაციები **ქართულ ენაზე,** კერძოდ:

თუ განმცხადებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი

  - ცნობა შემოსავლების სამსახურიდან, იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი არ წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს

ან

თუ განმცხადებელი დღგ-ს გადამხდელია

  - საგრანტო კონკურსის გამოქვეყნებამდე თორმეტი თვის განმავლობაში დეკლარირებული დღგ-ს ყოველთვიური დეკლარაციები

მოლაპარაკების ეტაპზე, შერჩეულმა განმცხადებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:

- საბანკო რეკვიზიტები – პროექტისათვის გამოყოფილი სპეციალური საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები და უახლესი საბანკო ამონაწერი;

- თანადაფინანსების ხელმისაწდომობის მტკიცებულება - როგორიცაა: საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება (მაგ.კაპიტალდაბანდება), სესხის ხელშეკრულება (მაგ. საკრედიტო ხელშეკრულებები ბანკებთან ან საფინანსო ორგანიზაციებთან, სასესხო ხელშეკრულებები), კომპანიის ფულადი შენატანი (მაგ, ფულადი სახსრების შემოდინება მიმდინარე ან მოსალოდნელი ბიზნეს ოპერაციებიდან) და სხვა ანალოგიური წყაროები;

- ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმა (ESMP), ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

- ამონაწერი საჯარო რეესტრის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან,

[10] იმ შემთხვევაში თუ თანამშრომელი ჯერ არ არის დაქირავებული

[11] გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც განმცხადებელს წარმოადგენს ფიზიკური პირი ან პირთა ჯგუფი

საჭიროებისამებრ[12];

- ინტელექტუალური საკუთრების და „ნოუ-ჰაუს“ უფლების მტკიცებულება, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სალიცენზიო ხელშეკრულებებით, ნატურით მონაწილეობის შეთანხმებებით, ამგვარის არსებობის შემთხვევაში ოფციონების ან სხვა სავაჭრო ვალდებულებების ხელშეკრულებებით, და სხვა ისეთი შეთანხმებებით, რომლებიც ადასტურებს, რომ განმცხადებელი ფლობს უფლებას შემუშავების პროცესში მყოფ თუ დასრულებულ პროდუქტზე ან მომსახურებაზე

- ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სააგენტო უფლებას იტოვებს **განმცხადებელს მოსთხოვოს ზოგიერთი დოკუმენტის ორიგინალი.**

4.4. განაცხადის შემოტანის ინსტრუქციები

განაცხადის მომზადებისას, გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ ქვემოთმოცემული ინფორმაცია:

განხილული იქნება მხოლოდ თანადაფინანსების გრანტების ვებ-პორტალის www.grants.gov.ge საშუალებით წარმოდგენილი განაცხადები.

თანადაფინანსების გრანტის მოსაპოვებლად, განმცხადებელი უნდა დარეგისტრირდეს თანადაფინანსების გრანტების ვებ-პორტალზე და შეავსოს განმცხადებლის სარეგისტრაციო ფორმა, სადაც მითითებული უნდა იყოს კომპანიის ძირითადი რეკვიზიტები (მაგ. გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, სამართლებრივი ფორმა, მისამართი, საკონტაქტო პირის რეკვიზიტები და სხვა). საგრანტო კონკურსის ვადის ამოწურვის შემდგომ, განმცხადებლები ვერ შეძლებენ განაცხადის შემოტანას.

წარმოდგენის შემდეგ განაცხადი ვეღარ დაექვემდებარება ცვლილებას; შესაბამისად, განმცხადებლებს ვურჩევთ, არ წარმოადგინონ განაცხადი, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. ვებ-პორტალი განმცხადებლებისთვის უზრუნველყოფს “შენახვის” ფუნქციას, იმისათვის რომ განმცხადებლებმა შეძლონ განაცხადების შემდგომი მოდიფიცირება მათ წარმოდგენამდე.

[12] თუკი განმცხადებელი წარმოადგენს ფიზიკურ პირს ან ფიზიკური პირთა ჯგუფს, ორგანიზაცია უნდა დაარეგისტრირონ სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, და შესაბამისად, ამონაწერი წარმოდგენილი უნდა იქნას მოლაპარაკებების ეტაპზე მოთხოვნილ დამატებით დოკუმენტებთან ერთად

განაცხადის წარმოდგენისთანავე განმცხადებელი მიიღებს დასტურს და განაცხადს მიენიჭება უნიკალური ნომერი. იმ შემთხვევაში თუ იგი არ მიიღებს ამ ინფორმაციას, განმცხადებელმა უნდა მიმართოს სააგენტოს ვებ პორტალზე მითითებული საკონტაქტო ელ. ფოსტის მეშვეობით.

განაცხადის ნომერი გამოყენებული იქნება განმცხადებელსა და სააგენტოს შორის მომავალი კომუნიკაციის დროს.

განმცხადებლებს ვურჩევთ, არ დაელოდონ განაცხადების მიღების ბოლო დღეს და მანამდე წარმოადგინონ განაცხადები, რათა თავიდან აიცილონ ბოლო დღეს სისტემის გადატვირთვით გამოწვეული პრობლემები.

დაშვებული იქნება მხოლოდ სრულყოფილი განაცხადები. თუმცა, შესაძლებელია განმცხადებლებს მოეთხოვოთ გარკვეული ინფორმაციის და დოკუმენტაციის დაზუსტება/მოდიფიცირება, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი შესაძლო დისკვალიფიკაცია საწყის ეტაპზე გამოვლენილი ზოგიერთი უმნიშვნელო ხარვეზის გამო.

განმცხადებელი პასუხისმგებელია ატვირთოს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი თანადაფინანსების გრანტების ვებ-პორტალის შესაბამის სექციაში.

განაცხადების რაოდენობა და გრანტების რაოდენობა თითოეულ განმცხადებელზე

ამ საგრანტო კონკურსის ფარგლებში განმცხადებელს უფლება აქვს წარმოადგინოს 1-ზე მეტი განაცხადი.
ამ საგრანტო კონკურსის ფარგლებში განმცხადებელი ვერ დაფინანსდება ერთზე (1) მეტი გრანტით.
მოდიფიცირებული და გაუმჯობესებული განაცხადები ნებადართულია. თუმცა განმცხადებელს ერთი განაცხადის წარმოდგენის უფლება რეალურად მხოლოდ ერთხელ აქვს. ის განაცხადი, რომელიც არსებითად იმ ნებისმიერი განაცხადის ანალოგიურია (ე.ი. დაფუძნებულია იგივე ან ანალოგიურ ინოვაციურ ტექნოლოგიაზე, პროდუქტზე/მომსახურებაზე და ბიზნესგეგმაზე), რომელიც უწინ იყო წარმოდგენილი სააგენტოსათვის, არ იქნება განხილული და ვერ მიენიჭება დაფინანსება.

5. პროექტის შეფასება და დაფინანსების გადაწყვეტილება

შეფასების პროცესი სამი ძირითადი ეტაპისაგან შედგება, რომელიც სააგენტოს ეხმარება წარმოდგენილი წინადადებებიდან საუკეთესოს შერჩევაში. პროცესის შემადგენელი სამი ძირითად ეტაპის დასრულების შემდეგ ხდება შერჩეულ განმცხადებლებთან მოლაპარაკებები და გრანტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ამ ეტაპებს წარმოადგენს ტექნიკური შემოწმება, წინასწარი შეფასება და საბოლოო შეფასება. ქვემოთ მოცემულია შეფასების პროცედურის სხვადასხვა ეტაპების ამსახველი გამოსახულება:

გამოსახულება 1: შეფასების ეტაპები და საორიენტაციო გრაფიკი



5.1. ტექნიკური შემოწმება

წარმოდგენის შემდეგ, განაცხადები ტექნიკური შემოწმების დროს მორიგეობით (დოკუმენტაციის შემოსვლის მიხედვით) დამუშავდება. თითოეული წინადადება პირველ რიგში შემოწმდება გარემოსდაცვით და სოციალურ შესატყვისობაზე.

გარემოსდაცვითი შემოწმების ფარგლებში განხორციელდება შემოთავაზებული პროექტის ხასიათისა და ტიპის გამოკვლევა ESMF-ის II დანართში მოცემული დაუშვებელი საქმიანობების ნუსხასთან მიმართებაში და მოხდება შემოთავაზებული საქმიანობის გარემოსდაცვითი კლასიფიკაცია, ESMF-ის და მსოფლიო ბანკის OP

(სამოქმედო პოლიტიკა) 4.01 გარემოსდაცვითი შეფასების შესაბამისად.

თითოეულ განმცხადებელს მოეთხოვება შეავსოს **ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების კითხვარი თანადაფინანსების გრანტებისათვის (ESCQ)** – ESMF-ის I დანართი (იხ. წინამდებარე სახელმძღვანელოს **დანართი MG1**) და შეიტანოს იგი განაცხადში. განმცხადებელი პასუხისმგებელია თავის საწარმოს გარემოზე ზემოქმედების ამჟამინდელი სურათის და შემოთავაზებული საქმიანობების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შესაძლო დადებითი და უარყოფითი ზემოქმედების კეთილსინდისიერად და მართებულად აღწერაზე. სააგენტოს გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების სპეციალისტი განიხილავს შევსებულ ESCQ-ებს და კითხვარში მოცემული ინფორმაციის დასადასტურებლად თანდართულ ლიცენზიების/ნებართვების ასლებს.

ნებისმიერი შემოთავაზებული პროექტი, რომელიც გულისხმობს აკრძლულ საქმიანობათა ნუსხაში შეტანილ საქმიანობებს ან განეკუთვნება გარემოსდაცვით A[15] კატეგორიას, უარყოფილი იქნება ტექნიკური შემოწმების ეტაპზე.

C[16] კატეგორიის საქმიანობები არ საჭიროებს შემდგომ გარემოსდაცვით ზომებს.

ის განმცხადებლები, რომელთა პროექტებიც განეკუთვნება გარემოსდაცვით B13 კატეგორიას, მოლაპარაკებების სტადიაზე სააგენტოს მიერ ინფორმირებულნი იქნებიან ESMP-ის შემუშავების საჭიროებასთან დაკავშირებით. სააგენტოს შეტყობინების მიღების შემდეგ, განმცხადებელი პასუხისმგებელია ESMP-ის მომზადებაზე და მის წარმოდგენაზე მითითებულ ვადებში. ESMP-ის შინაარსთან დაკავშირებული მითითებები მოცემულია GENIE პროექტის ESMF-ში, წინამდებარე სახელმძღვანელოს დანართის MG1 სახით. თუ პროექტი საჭიროებს ESMP-ის შემუშავებას, ხოლო განმცხადებელი ვერ შეძლებს მისი სააგენტოსათვის დადგენილ ვადებში და დამაკმაყოფილებელ ფორმატში წარმოდგენას, მაშინ ასეთი განაცხადი ვერ დაფინასდება.

---

[15] შემოთავაზებული საქმიანობა A კატეგორიად კლასიფიცირდება, თუკი იგი სავარაუდოდ გამოიწვევს კომპლექსურ, შეუქცევად ან უპრეცედენტო უარყოფით ზემოქმედებას ბუნებრივ გარემოზე,

[16] შემოთავაზებული საქმიანობა C კატეგორიად კლასიფიცირდება, თუკი იგი სავარაუდოდ არ გამოიწვევს უარყოფით ზემოქმედებას ბუნებრივ გარემოზე.

[13] შემოთავაზებული საქმიანობა B კატეგორიად კლასიფიცირდება, თუკი მისი პოტენციური ურაყოფითი ზემოქმედება მოსახლეობაზე ან გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვან არეალებზე -- როგორიცაა ჭარბტენიანი ტერიტორიები, ტყეები, სათიბ-საძოვრები, და სხვა ბუნებრივი ჰაბიტატები -- ნაკლებად უარყოფითია A კატეგორიის პროექტებთან შედარებით. ეს ზემოქმედებები კონკრეტული ობიექტისათვის არის დამახასიათებელი; მათი მცირე ნაწილი ან არცერთი არ არის შეუქცევადი; და უმეტეს შემთხვევაში, შემამსუბუქებელი ზომები A კატეგორიის პროექტებთან შედარებით უფრო ადვილად დაიგეგმება.

ის განაცხადები, რომელიც გაივლის ტექნიკურ შემოწმების პირველ ეტაპს, შემოწმდება **ადმინისტრაციულ და საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან შესატყვისობაზე**. ამ ეტაპზე განაცხადები შემოწმდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულის და ამ სახელმძღვანელოში მითითებული საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან შესაბამისობის მხრივ.

ამ ეტაპზე, განაცხადი უარყოფილი იქნება და ვეღარ გადავა შეფასების მომდევნო ეტაპზე თუ:

- არ იქნება წარმოდგენილი წინამდებარე სახელმძღვანელოს 4.3 (განაცხადის ფორმები და თანდართული დოკუმენტაცია); ქვეთავში მითითებული განაცხადის ფორმები და თანდართული დოკუმენტების სრული პაკეტი
- განაცხადის ფორმები და თანდართული დოკუმენტაცია არასწორ ფორმატში არის მოწოდებული და იმ ენებზე არ არის მომზადებული, რაც მითითებულია წინამდებარე სახელმძღვანელოს 4.3 თავში (განაცხადის ფორმები და თანდართული დოკუმენტაცია).

ტექნიკური შემოწმების საბოლოო საფეხური ეხება, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ექსპერტის მიერ ინტელექტუალური საკუთრების მხრივ შემოწმებას. სხვა ეტაპებისაგან განსხვავებით, ამ სტადიაზე შემოწმების შედეგად უარყოფილი არ იქნება არცერთი განაცხადი, ამრიგად, ინტელექტუალური საკუთრების შემოწმება მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათისაა და ტარდება იმისათვის, რომ დაეხმაროს მეორე ეტაპის ექსპერტ- შემფასებელს წინასწარი შეფასების ცხრილში შეტანილი შესაბამისი კრიტერიუმის შეფასებაში.

ინტელექტუალური საკუთრების შემოწმება ორ მიზანს ემსახურება. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს პროექტთან დაკავშირებული გამოგონების პატენტუნარიანობის განსაზღვრა. მეორეს მხრივ კი იმის გადამოწმება, არსებობს თუ არა მესამე მხარის პატენტის დარღვევის რისკი პროექტის განხორციელების ფაზაზე.

მხოლოდ სრულყოფილად შევსებული ელექტრონული განაცხადები გადავა შეფასების მომდევნო ეტაპზე. საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებლებს შესაძლოა მიეცეთ 5-დან 10-მდე კალენდარული დღე სააგენტოს მიერ მოთხოვნილი დაზუსტებების მოსაწოდებლად, ეს ვადა დამოკიდებული იქნება სააგენტოს მიერ დაკისრებული დავალების სირთულეზე. იმ შემთხვევაში თუ დაცული არ იქნება ზემოთმოყვანილი წარმოდგენის ვადები, საქართველოს ინოვაციებისა და

ტექნოლოგიების სააგენტო იტოვებს უფლებას არ დაუშვას განაცხადი შემდგომ შეფასებაზე. განმცხადებლის ინფორმირება ტექნიკური შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით განხორციელდება ელ. ფოსტის ან თანადაფინანსების გრანტების ვებპორტალის მეშვეობით.

ტექნიკური შემოწმების შემდეგ, შეფასების და შერჩევის პროცესის მართვა გადაეცემა დაქირავებულ კომპანიას, რომელსაც დაევალება ჩაატაროს (1) განაცხადების წინასწარი შეფასება საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, (2) ბიზნეს იდეის პრეზენტაციის ქოუჩინგ სესიების გამართვა საერთაშრისო მწვრთნელების ჩართულობით, და (3) საბოლოო შეფასება დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტის მიერ, რომელიც კენტი რაოდენობის საერთაშორისო ექსპერტებისგან უნდა იყოს შემდგარი. ეს უკანასკნელი მიიღებს გადაწყვეტილებას გრანტის მინიჭების შესახებ. თითოეული შეფასების ეტაპის დეტალური აღწერა ქვემოთ არის მოცემული.

5.2. განაცხადების წინასწარი შეფასება

ის განაცხადები რომელმაც დააკმაყოფილა ტექნიკური შეფასების კრიტერიუმები ინდივიდუალურად შეფასდება ორი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საერთაშორისო ექსპერტის მიერ. ექსპერტები საპროექტო წინადადების შესატყვისი სამეცნიერო ან ბიზნეს სფეროს წარმომადგენლები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონენი უნდა იყვნენ. თითოეული ექსპერტი უნდა ხელმძღვანელობდეს კეთილსინდისიერების უმაღლესი სტანდარტებით, რაც გამორიცხავს ნებისმიერ საეჭვო კავშირს განმცხადებლებთან, რაც გულისხმობს მათ ურთიერთობას თანამშრომლის, კონსულტანტის, ნათესავის, პოლიტიკური ან ბიზნეს პარტნიორის სახით. თითოეულმა კანდიდატმა წინასაწარ უნდა გაამჟღავნოს ნებისმიერი, პოტენციური ან ფაქტიური ინტერესთა კონფლიქტი, რამაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს მათ ობიექტურობაზე. ექსპერტებს მოეთხოვებათ, რომ დისტანციურად შეაფასონ ერთი ან მეტი განაცხადი, რომელიც მჭიდრო კავშირში იქნება მათი სპეციალიზაციის სფეროსთან და წარმოადგინონ შევსებული შეფასების ცხრილი.

ექსპეტები ასევე ვალდებულნი არიან შეამოწმონ ბიუჯეტში წარმოდგენილი ხარჯების მიზნობრიობა (ამ სახელმძღვანელოს 2.3 თავში მოცემული პირობების შესაბამისად) და მათი ბიზნეს და აქტივობების გეგმასთან შესაბამისობა და ადეკვატურობა.

თითოეული ექსპერტი მოამზადებს ანგარიშს, რომელიც მოიცავს მინიჭებულ ქულებს და თხრობით ნაწილს, სადაც აღწერილი იქნება განაცხადის ძლიერი და სუსტი მხარეები და მითითებული იქნება ნებისმიერი საკითხი, რომელიც განმცხადებელთან გასაუბრებისას უნდა დაზუსტდეს. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ორი ექსპერტისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ ქულებს მიიღებს (20 პუნქტზე მეტი სხვაობით), მაშინ

განაცხადი უნდა განიხილოს მესამე ექსპერტმა.

<u>ქულების სისტემა:</u> შეფასების ცხრილი დაყოფილია სექციებად და თითოეულ სექციაში დაჯგუფებულია კრიტერიუმები. თითოეულ კრიტერიუმს ენიჭება 1 -დან 5 ქულამდე, ქვემოთმოყვანილი შკალის შესაბამისად:

1 - სუსტი, 2 - დამაკმაყოფილებელი, 3 - საშუალო, 4- ძლიერი, 5 – განსაკუთრებული

წინასწარი შეფასების სტადიაზე განაცხადები შეფასდება ქვემოთმოყვანილი კრიტერიუმების საფუძველზე:

I.	ინოვაცია და მისი შინაარსი	ქულები	შენიშვნები და დასაბუთება
1.1	ინოვაციურობის ხარისხი: ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, მომსახურება, პროცესი, ან ტექნოლოგია		
1.2	შემოთავაზებული მეთოდოლოგიის მიზანშეწონილობა და ინოვაციის შინაარსი		
1.3	შემოთავაზებული ინოვაციის გეოგრაფიული პოტენციალი/გავლენა (ადგილობრივი, ქვე-რეგიონული, რეგიონული, გლობალური)		
1.4	ინოვაციის რეპლიკაციის სირთულე[14],		
1.5	ინოვაციის მზაობა ბაზარზე გასატანად		
სექციის ჯამი			

[14] უფრო მაღალი ქულა მიენიჭება ინოვაციას, რომლის კოპირებაც რთულია. 5 ქულა მიენიჭება გამოგონებას, რომელიც პატენტით არის დაცული ან პატენტით დაცვის უფლების მიღების საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

II.	ბაზარი და კომერციალიზაცია	ქულები	შენიშვნები და დასაბუთება
2.1	გამოყენება და საბაზრო მოთხოვნა: პროდუქტი, საბაზრო მოთხოვნის დაკმაყოფილების გზით უზრუნველყოფს არსებული პრობლემის გადაჭრას ან ქმნის ახალ მოთხოვნას.		
2.2	ბაზრის მოცულობა, საჭიროებები და ზრდა		
2.3	მომხმარებლები და პოტენციური მომხმარებლები; კონკურენტები, კვაზი-კონკურენტები და პოტენციური კონკურენტები		
2.4	ბაზარზე შესვლის სტრატეგია, დრო პროდუქტის შემუშავებიდან მის ბაზარზე გატანამდე (TTM), რამდენადაა გათვალისწინებული პროდუქტის ბაზარზე შეტანასთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები.		
2.5	ინტელექტუალური საკუთრების უფლებები მოპოვებულია, ან საჭიროებისამებრ სათანადოდ არის დარეგულირებული (პატენტები, ლიცენზიები და ა.შ.).		
სექციის ჯამი			

III.	მართვის და ფინანსური შესაძლებლობები	ქულები	შენიშვნები და დასაბუთება
3.1	პროექტის გუნდის გამოცდილების რელევანტურობა: სპეციფიური და დარგთაშორისი, უნარების მრავალფეროვნება, პროექტის განხორციელებისათვის საკმარისი უნარების არსებობა და/ან ამ უნარების ნაკლებობის შევსების შესაბამისი გეგმა		
3.2	მართვის უნარის და სტრუქტურის ჯეროვნება (როლებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება)		
3.3	განხორციელების გეგმის მიზანშეწონილობა და მართვადობა, რეალისტურად დაგეგმილი განხორციელების ეტაპები		
3.4	ბიუჯეტის შესაბამისობა, ფინანსური რესურსების ადეკვატური განაწილება და სწორი დაგეგმვა		
3.5	თანადაფინანსების წყაროების და სტრუქტურის საფუძვლიანობა[15]		
3.6	პროექტის რენტაბელობა, ზრდა და ნულოვანი მოგების წერტილი; რენტაბელობის ზღვარი		
3.7	შემოსავლები ან ბაზრის ტრაქციის სხვა მტკიცებულება (მომხმარებლების შეძენა) დღეის მდგომარეობით		
სექციის ჯამი			

[15] უპირატესობა მიენიჭება კერძო სექტორის თანადაფინანსებას

IV.	პროექტის მდგრადობა	ქულები	შენიშვნები და დასაბუთება
4.1	მდგრადობის შესანარჩუნებლად საჭირო ზომები გათვალისწინებულია: პროექტის ხანგამძლვობა მისი განხორციელების ბოლო ვადის შემდეგ		
4.2	კონკურენტული უპირატესობის სიცოცხლისუნარიანობა[16]		
4.3	პროდუქტის განახლების პოტენციალი/სტრატეგიის ცვლილების შესაძლებლობა		
სექციის ჯამი			

თითოეულ სექციას, მისი მიშვნელობიდან გამომდინარე მიენიჭება წონა (I და II სექციებისთვის -თითოეულს 30%, III და IV სექციებისთვის – თითოეულს 20%)

წინადადებებს საერთო ჯამში შეიძლება მიენიჭოს 100 ქულა, წინასწარი შეფასების ცხრილში მოცემული ჩაშლის შესაბამისად.

განაცხადები უარყოფილი იქნება და არ დაექვემდებარება შემდგომ შეფასებას, იმ შემთხვევაში თუ:

- ექსპერტების მიერ მინიჭებული (შეწონილი) საშუალო ქულა 50 ან მასზე ნაკლებია
- I სექციის - ინოვაცია და მისი შინაარსი - შეწონილი, საშუალო ქულა 15 ან მასზე ნაკლებია;
- II სექციის - ბაზარი და კომერციალიზაცია - შეწონილი, საშუალო ქულა 10 ან მასზე ნაკლებია;

წინასწარი შეფასების ეტაპის დასრულების შემდეგ პროექტები ორ სიაში

[16] ზოგადად, ბრენდიდან და ხარისხიდან გამომდინარე უპირატესობები - ფასის თვალსაზრისით და მასშტაბურობიდან გამომდინარე უპირატესობები - ხარჯების თვალსაზრისით, მეტი გამძლეობის ტენდენციას გვიჩვენებს. ისეთი უპირატესობა როგორიცაა ინოვაციურობა, შემდგომში სხვა ონოვაციით ჩანაცვლების ტენდენციით ხასიათდება.

გადანაწილდება:

1) იმ პროექტების სია, რომელიც ვერ გადავა საბოლოო შეფასების ეტაპზე. ამ სიაში შევა განაცხადები, რომელიც უარყოფილი იქნა ამ სექციაში ზემოთ განსაზღვრულ გამსვლელ ქულებთან შეუსატყვისობის გამო და ის განაცხადები, რომელთაც წინასწარ შერჩეულ განაცხადებზე ნაკლები ქულა მიენიჭა.

2) საბოლოო შეფასებისათვის გადარჩეული, ქულების კლებადობის მიხედვით დალაგებული წინადადებების ნუსხა, რომელთა დაფინანსების მოთხოვნა მოცემული საგრანტო კონკურსისთვის ხელმისაწვდომი ჯამური ბიუჯეტის მაქსიმუმ ორმაგ ოდენობას შეადგენს.

განმცხადებლები ინფორმირებულნი იქნებიან წინასწარი შეფასების შედეგების თაობაზე, ისინი კი თავის მხრივ უნდა მოემზადონ საბოლოო შეფასების ეტაპისთვის, კერძოდ იდეის პრეზენტაციისთვის და დასმულ კითხვებზე საპასუხოდ.

წინასწარ შერჩეული განმცხადებლები დაესწრებიან ბიზნეს იდეის პრეზენტაციების ქოუჩინგის ერთ კვირიან სესიას, რაც მათ საშუალებას მისცემს აპლიკაციების საბოლოო შეფასებისთვის გააუმჯობესონ პრეზენტაციის უნარები. აღნიშნულ სესიებს ჩაატარებს გარე კომპანიის მიერ დაქირავებული საერთაშორისო მწვრთნელები.

5.3. საბოლოო შეფასება საინვესტიციო კომიტეტის მიერ

სააგენტოს დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტი შედგება მინიმუმ სამი მიუკერძოებელი საერთაშორისო ექსპერტისგან. დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტის წევრები უნდა ხელმძღვანელობდნენ ეთიკის უმაღლესი სტანდარტებით, რაც გამორიცხავს ნებისმიერ საეჭვო კავშირს განმცხადებლებთან, რაც გულისხმობს მათ ურთიერთობას თანამშრომლის, კონსულტანტის, ნათესავის, პოლიტიკური ან ბიზნეს მოკავშირის ან პარტნიორის სახით. მათ ასევე უნდა გააჩნდეთ თვალსაჩინო კვალიფიკაცია ინოვაციის, მეცნიერების ან ბიზნესის დარგში.

ამ სტადიაზე, ის განმცხადებლები, რომელთა წინადადებებიც წინასწარ იქნა შერჩეული, მოწვეულნი იქნებიან გასაუბრებაზე. გასაუბრებებს მოჰყვება კითხვა-პასუხის სესია. განმცხადებლები მომზადებულები უნდა იყვნენ საბოლოო შეფასების ცხრილში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად რათა უპასუხონ ამ კრიტერიუმებთან და მათ მიერ შემოტანილ განაცხადებთან დაკავშირებულ შეკითხვებს.

სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ სტადიაზე ჩატარებული გასაუბრებები შესაძლოა საჯაროდ იქნას ტრანსლირებული, შესაბამისად, ნიშვნელოვანესია, რომ ორივე მხარემ - განმცხადებელმაც და საინვესტიციო კომიტეტის წევრებმაც მკაცრად

დაიცვან კონფიდენციალურობის პრინციპი და გასაუბრებების მსვლელობაში არ გაასაჯაროონ საიდუმლო ინფორმაცია.

გასაუბრებების სესიების შემდეგ, ჩატარდება დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტის შეხვედრა, სადაც კომიტეტის წევრები შეთანხმდებიან თითოეული კრიტერიუმისათვის მისანიჭებელ ქულებზე და შეადგენენ კოლექტიურ შეფასების ცხრილს.

ქვემოთ მოყვანილია საბოლოო შეფასების კრიტერიუმები:

№	კრიტერიუმი	ქულა	კომენტარები
1	მომხმარებლის პრობლემა - პრობლემა კარგად არის იდენტიფიცირებული		
2	პროდუქტის (მომსახურების) მიმოხილვა - პროდუქტის/მომსახურების აღწერა - უნიკალურობა (ინოვაციურობა)		
3	შემუშავებისფაზა - პროდუქტის მზაობის დონე ბაზარზე გასატანად		
4	ბაზრის მოცულობა და ზრდა		
5	სამიზნე ბაზარი და სეგმენტაცია		
6	ბაზარზე შესვლის სტრატეგია - პროდუქტის ან მომსახურების მომხმარებლისათვის მიწოდების სტრატეგია		

7	კონკურენტული გარემო და უპირატესობები - კონკურენტები და კონკურენტული პროდუქტები/მომსახურებები - შემოთავაზებული პროდუქტის/მომსახურების კონკურენტული უპირატესობები		
8	ფინანსური პროგნოზი - მოსალოდნელი რენტაბელობა - სავარაუდო ზრდის ტემპი - რენტაბელობის ზღვარი		
9	დაფინანსება - მოთხოვნილი დაფინანსების საფუძვლიანობა - თანადაფინანსება და მისი სტრუქტურა - დღეს მდგომარეობით მოზიდული ინვესტიციების რაოდენობა, განაცხადის საფუძველზე მიღებული ინვესტიციების პროცენტული თანაფარდობა		
10	საოპერაციო შესაძლებლობები - მენეჯმენტი და გუნდი		
დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტის მიერ მინიჭებული ჯამური ქულა		50	

ქულების მინიჭების პრიციპი წინასწარი შეფასების სტადიის ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ არ ხდება წონების მინიჭება და გამსვლელი ქულების გამოყენება.

ამ შეფასების შედეგად შედგება იმ განაცხადების სია, რომელთა დაფინანსებაზეც რეკომენდაცია გასცა საინვესტიციო კომიტეტმა და რომელთა ფარგლებში მოთხოვნილი საგრანტო თანხების ჯამი დაახლოებით საგრანტო კონკურსისთვის განსაზღვრულ ჯამურ ბიუჯეტს უტოლდება.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სათანადო დასაბუთების არსებობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებას იტოვებს სრულად არ გასცეს თითოეული საგრანტო კონკურსის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური სახსრები.

დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში სააგენტოს დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტი იღებს.

ყველა განმცხადებელი შესაბამისად იქნება ინფორმირებული შერჩევის პროცესის შედეგებთან დაკავშირებით, ხოლო შერჩეული საპროექტო წინადადებების ნუსხა გამოქვეყნდება სააგენტოსა და ეკონომიკის და მდგრადი განვთარების სამინისტროს ვებგვერდებზე.

დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შერჩეულ განმცხადებლებს შესთავაზებენ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერას.

5.4. მოლაპარაკებები და გრანტების მინიჭება

ადგილზე არსებული სიტუაციის დასადგენად შესაძლოა სააგენტოს გარემოს დაცვის სპეციალისტმა დაფინანსებისათვის შემოთავაზებული განმცხადებლების ადგილზე შემოწმება განახორციელოს, რაც იმის განსაზღვრას გულისხმობს თუ რამდენად შეესატყვისება/ან შეესატყვისება თუ არა ადგილზე არსებული მდგომარეობა განაცხადში წარმოდგენილ ინფორმაციას და დოკუმენტაციას.

ასეთი საკონტროლო პროცედურების შემდგომ, დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტის მიერ დაფინანსების მისაღებად წარდგენილი თითოეული განმცხადებელი მიწვეული იქნება კონტრაქტის პირობებზე მოსალაპარაკებლად. ზემოხსენებული მოლაპარაკებების მიზანს წარმოადგენს შეფასების პროცესში წამოჭრილი ყველა ორაზროვნების დაზუსტება და ნებისმიერი სახის კორექტივების შეტანა წინადადებებში. მოლაპარაკებები შესაძლოა ეხებოდეს პროექტის ბიუჯეტს (ხარჯების მიზნობრიობის კუთხით), ნებისმიერ ტექნიკური ან სამართლებრივი ასპექტებს.

შერჩეული განმცხადებლებისგან მოთხოვნილი იქნება წინამდებარე სახელმძღვანელოს 4.3 თავში ჩამოთვლილი დოკუმენტები.

6. პროექტის განხორციელება და მონიტორინგი

6.1. პროექტის განხორციელება

საგრანტო კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ, განმცხადებელი ბენეფიციარად განიხილება. ბენეფიციარს მოეთხოვება პროექტი გულმოდგინედ და ეფექტურად განახორციელოს თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის საგრანტო პროგრამის პირობების და დაფინანსების ხელშეკრულების შესაბამისად და მყარი ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, ადმინისტრაციული, გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების და მითითებების გათვალისწინებით. ბენეფიციარს მოეთხოვება იმგვარი პოლიტიკისა და პროცედურების დაცვა, რომელიც სააგენტოს შესაძლებლობას მისცემს მონიტორინგი გაუწიოს და შეაფასოს პროექტის წინსვლა და მისი მიზნების განხორციელება.

ბენეფიციარს მოეთხოვება განახორციელოს პროექტი ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის დებულებების შესაბამისად (ასეთის არსებობის შეემთხვევაში) და დროულად მიიღოს ყველა ზომა, რათა სააგენტოს მიეცეს გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმაში მოცემული ზომების მონიტორინგის საშუალება.

ბენეფიციარი გამოიყენებს დაფინანსებას პროექტის შეთანხმებული ბიუჯეტის შესაბამისად, უზრუნველყოფს გამართულ ფინანსური მართვის სისტემას და მოამზადებს კვარტალურ ფინანსურ ანგარიშებს თანმიმდევრულად გამოყენებული საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების საფუძველზე, საკასო მეთოდით, ისე რომ ადეკვატურად იქნას ასახული პროექტთან დაკავშირებული ოპერაციები, რესურსები და ხარჯები.

ბენეფიციარი კვარტალურად განსახილველად წარუდგენს GFMES-ს პროექტის ფინანსურ ანგარიშს, რაც მოიცავს დანახარჯების უწყისს (SOE), პროექტისთვის გამოყოფილი სპეციალური საბანკო ანგარიშის შედარების უწყისს (**დანართი MG6**), საბანკო ამონაწერს სპეციალური ანგარიშიდან, და ასევე შესაბამისი ანგარიშფაქტურებისა და ინვოისების ასლებს.

ბენეფიციარი აგრეთვე წარმოადგენს კვარტალურ პროექტის განხორციელების ანგარიშებს, რომლებიც ფინანსური ანგარიშის პარალელურად იქნება შემოწმებული.

ბენეფიციარი უფლებას მისცემს სააგენტოს, მსოფლიო ბანკს, და/ან სააგენტოს მიერ დანიშნულ პირებს ან აუდიტორებს განახორციელონ პროექტთან და საგრანტო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობასთან

დაკავშირებული ფინანსური ჩანაწერებს და ანგარიშებს და სხვა დოკუმენტაციას გაუკეთონ ინსპექტირება და აუდიტი. ამ ვალდებულების ნებისმიერი სახით თავიდან აცილებამ, როგორც აკრძალულმა ქმედებამ, შესაძლოა გამოიწვიოს სააგენტოს მიერ დაფინანსების ხელშეკრულების შეწყვეტა.

ბენეფიციარი საშუალებას მისცემს სააგენტოს და/ან მსოფლიო ბანკს შეამოწმოს/მონიტორინგი გაუწიოს პროექტის განხორციელებას, მის ოპერაციებს და ნებისმიერი სახის შესაბამის ჩანაწერებსა და დოკუმენტებს. იგი ასევე მოამზადებს და სააგენტოსა და მსოფლიო ბანკს წარუდგენს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც სააგენტო ან მსოფლიო ბანკი დასაბუთებულად მოითხოვს.

ბენეფიციარს მოეთხოვება განახორციელოს პროექტი საპროექტო წინადადების შესაბამისად. ნებისმიერი სახის არსებითი გადახვევა საპროექტო წინადადებიდან, როგორიცაა პროექტის დასრულების გადავადება საპროექტო წინადადებაში მითითებული ვადების ფარგლებში, ან შემოთავაზებული ეტაპების შეუსრულებლობა, საჭიროებს სააგენტოს წინასწარ წერილობით თანხმობას. ბენეფიციარს უფლება აქვს მოითხოვოს პროექტის განხორციელების პერიოდის გახანგრძლივება ხარჯების გაზრდის გარეშე. ამგვარი მოთხოვნა სათანადოდ უნდა იქნას დასაბუთებული.

ბენეფიციარებს ასევე მოეთხოვებათ, ყოველ წელს, პროექტის დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში, წარუდგინონ სააგენტოს პროექტთან დაკავშირებული ახალი პერიოდული მონაცემები, რაც უნდა მოიცავდეს ძირითად ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს და ფინანსურ ინფორმაციას სააგეტოს მიერ მოთხოვნილ ფორმატში. შესაძლოა ბენეფიციარებს ასევე მოეთხოვოთ სააგენტოს მიერ ორგანიზებულ თემატურ შეხვედრებში მონაწილეობა და თავიანთი შედეგებისა და წარმატების ისტორიების აუდიტორიისათვის წარდგენა.

6.2. გადახდები

ბენეფიციარი გახსნის სპეციალურ საბანკო ანგარიშს, რომელიც გამოყენებული იქნება მხოლოდ პროექტის მიზნებისათვის. სააგენტოს ჩარიცხვები და ასევე ბენეფიციარის თანადაფინანსების წილი ამ ანგარიშზე იქნება შეტანილი. ყველა გადახდა პროექტის ფარგლებში განხორციელდება ამ სპეციალური ანგარიშის მეშვეობით. ნაღდი ფულის (სალაროს) გამოყენებით დაფარული ხარჯები დაუშვებლად ჩაითვლება.

გრანტის სახსრები ბენეფიციარზე გაიცემა კვარტალური ტრანშების სახით; თანხის გამოტანის მოთხოვნის ფორმა (**დანართი MG8**) ბენეფიციარის მიერ გამოყენებული იქნება სააგენტოსაგან საგრანტო ტრანშების მოთხოვნისათვის. პირველი ტრანში ბენეფიციარის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე გადაირიცხება საგრანტო

დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო ყოველი შემდგომი ტრანში უზრუნველყოფილი იქნება წინა პერიოდის კვარტალური პროექტის განხორციელების და ფინანსური ანგარიშების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიში (**დანართი MG6**), დანახარჯების უწყისების (SOE), და სპეციალური საბანკო ანგარიშის შედარების უწყისის ჩათვლით, რომელთაც თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები და საბანკო ამონაწერი, განხილული და დამტკიცებული იქნება GFMES -ის მიერ, სანამ სააგენტოს მიერ შემდეგი ტრანშის გაცემა მოხდება.

კვარტალური ტრანშის გაცემამდე, კვარტალური პროექტის განხორციელების და ფინანსური ანგარიშების გარდა ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, რომელიც უჩვენებს, რომ ბენეფიციარმა სპეციალურ ანგარიშზე განათავსა სააგენტოდან მისაღები ტრანშის შესაბამისი თანადაფინანსების თანხა.

კვარტალური ტრანშის გაცემამდე, ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს კვარტალური პროექტის განხორციელების და ფინანსური ანგარიშები სხვა მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან ერთად პროექტის კვარტლის ბოლო კალენდარული დღიდან ორი (2) კვირის განმავლობაში.

ანგარიშების განხილვასა და დამტკიცებას დაახლოებით ოთხი (4) კვირა დასჭირდება, შესაძლოა ასევე საჭირო იყოს ობიექტზე გასვლა მონიტორინგის ჩასატარებლად, როგორც ეს აღწერილია ამ სახელმძღვანელოს 6.3 თავში.

ბენეფიციარს უფლება აქვს დაუშვას თხუთმეტ პროცენტამდე (15%) გადაჭარბება/ცვლილება პროექტის ბიუჯეტში მოცემულ ერთ ან რამდენიმე ბიუჯეტის კატეგორიისათვის. თუ მოსალოდნელია, რომ პროექტის მსვლელობისას რომელიმე ბიუჯეტის კატეგორიასთან დაკავშირებული დანახარჯების ცვლილება თხუთმეტ პროცენტს (15%) გადააჭარბებს, სააგენტოსათვის დასამტკიცებლად წარდგენილი უნდა იქნას საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების წერილობითი მოთხოვნა.

სააგენტო იტოვებს უფლებას შეაჩეროს ან შეწყვიტოს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფინანსება, და მოითხოვოს დახარჯული სახსრების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურება, იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი ვერ შეძლებს საგრანტო დაფინანსების ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების შესრულებას.

6.2.1.ხარჯებისა და ნაშთების გაანგარიშება

პროექტის შეუფერხებელი განხორციელებისათვის გადახდების მოცულობა და მისი გრაფიკი ქვემოთმოცემული გეგმის მიხედვით უნდა განხორციელდეს:

ა) პირველი საავანსო გადახდა უნდა უტოლდებოდეს 1-ლი საანგარიშო კვარტლისთვის, პროექტის ბიუჯეტიდან მხოლოდ საგრანტო წილის[17] 100%-ს დამატებული შემდეგი (ე.ი. მე-2-ე) საანგარიშგებო კვარტლის ბიუჯეტიდან საგრანტო წილის 50%, რომელიც გადახდილი უნდა იქნას საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ზემოხსენებული გადახდის დასასაბუთებლად და მის მისაღებად და დადასტურებად, ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს:

i. თანხის მოთხოვნის განაცხადი;

ii. სპეციალურ საბანკო ანგარიშზე შეტანილი, პირველი საავანსო გადახდისთვის საკმარისი თანადაფინანსების არსებობის მტკიცებულება[18].

ბ) შემდგომ, თითოეული საავანსო გადახდა შესაძლოა უტოლდებოდეს მიმდინარე საანგარიშო კვარტლის ბიუჯეტის საგრანტო წილის[19] 50%-ს დამატებული შემდეგი საანგარიშო კვარტლისთვის დამტკიცებული ბიუჯეტის საგრანტო წილის 50%. ზემოხსენებული ტრნშის მისაღებად, ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს:

iii. თანხის მოთხოვნის განაცხადი;

iv. სპეციალურ საბანკო ანგარიშზე შეტანილი, შესაბამისი საავანსო გადახდისთვის საკმარისი თანადაფინანსების არსებობის მტკიცებულება[20] ;

v. პროექტის განხორციელების კვარტალური ანგარიში;

vi. კვარტალური ფინანსური ანგარიში.

გ) ბოლო საავანსო გადახდა შესაძლოა უტოლდებოდეს ბოლო საანგარიშო კვარტლის ბიუჯეტის საგრანტო წილის 50%-ს[21]. ზემოხსენებული გადახდის დასაბუთებად და მის მისაღებად, ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს:

---

[17] პროექტის მთლიანი ბიუჯეტს მინუს თანადაფინანსების წილი

[18] ბანკის ანგარიშზე შეტანილი თანადაფინანსების წილი უნდა შეესაბამებოდეს დაფინანსების ხელშეკრულებაში მითითებულ თანადაფინანსების პროცენტს

[19] პროექტის მთლიანი ბიუჯეტს მინუს თანადაფინანსების წილი

[20] ბანკის ანგარიშზე შეტანილი თანადაფინანსების წილი უნდა შეესაბამებოდეს დაფინანსების ხელშეკრულებაში მითითებულ თანადაფინანსების პროცენტს

[21] პროექტის მთლიანი ბიუჯეტს მინუს თანადაფინანსების წილი

vii. თანხის მოთხოვნის განაცხადი;

viii. პროექტისათვის გახსნილ ანგარიშზე შეტანილი, ბოლო საავანსო გადახდისთვის საკმარისი თანადაფინანსების არსებობის მტკიცებულება[22];

ბოლო საავანსო გადახდის შესათანხმებლად, ბენეფიციარმა უნდა წარმოადგენოს:

ix. პროექტის განხორციელების საბოლოო ანგარიში;

x. ბოლო საანგარიშგებო კვარტლის ფინანსური ანგარიში

ცხრილი 3: გადახდის გრაფიკი

გადახდა	**გამოთვლა**	**გადახდის საფუძველი**
I საავანსო გადახდა	პირველი საანგარიშგებო კვარტლის გრანტის 100% -ს დამატებული მეორე საანაგრიშგებო კვარტლის გრანტის 50%	• დაფინანსების ხელშეკრულება • თანხის მოთხოვნის განაცხადი; • სპეციალურ საბანკო ანგარიშზე შეტანილი, პირველი საავანსო გადახდისათვის საკმარისი თანადაფინანსების არსებობის მტკიცებულება.
II და შემდგომი საავანსო გადახდები	მიმდინარე საანგარიშგებო კვარტლის გრანტის წილის 50% -ს დამატებული შემდეგი საანგარიშგებო კვარტლის გრანტის წილის 50%	• თანხის მოთხოვნის განაცხადი; • სპეციალურ საბანკო ანგარიშზე შეტანილი, შესაბამისი საავანსო გადახდისათვის საკმარისი თანადაფინანსების არსებობის მტკიცებულება;

[22] ბანკის ანგარიშზე შეტანილი თანადაფინანსების წილი უნდა შეესაბამებოდეს დაფინანსების ხელშეკრულებაში მითითებულ თანადაფინანსების პროცენტს

		• პროექტის განხორციელების კვარტალური ანგარიში; • კვარტალური ფინანსური ანგარიში.
ბოლო* საავანსო გადახდა	ბოლო საანგარიშგებო კვარტლის გრანტის წილის 50%	• თანხის მოთხოვნის განაცხადი; • პროექტისათვის გახსნილ ანგარიშზე შეტანილი, უკანასკნელი საავანსო გადახდისთვის საკმარისი თანადაფინანსების არსებობის მტკიცებულება

*პროექტის განხორციელების საბოლოო ანგარიში, და ბოლო საანგარიშო კვარტლის ფინანსური ანგარიში წარმოდგენილი იქნება განხორციელების პერიოდის დასრულების შემდეგ.

ზემოთმოყვანილი გამოთვლების გარდა, თითოეული საავანსო გადახდა და საბოლოო გადახდა, პირველის გარდა, შესაძლოა შემცირდეს დაუხარჯავი ნაშთის საფუძველზე, მაშინ, როდესაც ეს ხარჯვის ნაკლებობა გამოწვეულია ეკონომიით ან საქმიანობების განხორციელების შეყოვნებით. ამ შემთხვევაში, ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს განახლებული სამუშაოების გრაფიკი და კორექტირებული ბიუჯეტი, იმისათვის რომ მოითხოვოს ფინანსური სახსრების გადანაწილება, გარდა იმ შემთხვევებისა როცა საქმიანობების გადავადება იწვევს პროექტის განუხორციელებლობას. იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება ეს უკანასკნელი, კონტრაქტი შეჩერდება საგრანტო დაფინანსების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ ფინანსურ ანგარიშებში აღმოჩნდება არამიზნობრივი ხარჯები, ბენეფიციარი ვერ მიიღებს შემდეგ ტრანშს, იქამდე, სანამ შესაბამისი თანხა არ დაბრუნდება პროექტის ანგარიშზე.

განხორციელების პერიოდის ბოლოს, ბენეფიციარმა უნდა აანაზღაუროს ნებისმიერი დაუხარჯავი ნაშთი და არამიზნობრივი ხარჯი, რომელიც აღმოჩენილი იქნება სააგენტოს ან აუდიტორების მიერ ჩატარებული რევიზიის/შემოწმებისას, სააგენტოსთვის გადასახდელი თანხების მოთხოვნის შეტყობინების მიღებიდან 30

დღის ვადაში.

6.3. პროექტის მონიტორინგი

ბენეფიციარზე ფინანსური სახსრების გაცემამდე, საჭიროა პროექტის მონიტორინგის განხორციელება სააგენტოს მიერ. პროექტის მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს აქტივობების განხორციელებაში მიღწეული წინსვლის შეფასება და იმაში დარწმუნება, რომ ფინანსური დანახარჯები შეესაბამება მოცემული პერიოდისათვის დამტკიცებულ პროექტის ბიუჯეტს. მონიტორინგის მეთოდები მოიცავს:

A) წარმოდგენილი კვარტალური პროექტის განხორციელების და ფინანსური ანგარიშების შემოწმება (GFMES-ის მიერ);

B) ობიექტზე ვიზიტები მონიტორინგის მიზნით, საჭიროებისამებრ;

პროექტის კვარტლის უკანასკნელი კალენდარული დღიდან ორი (2) კვირის ვადაში ბენეფიციარმა თანადაფინანსების გრანტების ვებ-პორტალის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს კვარტალური პროექტის განხორციელების და ფინანსური ანგარიშები. კვარტალური ანგარიშის წარდგენა პროექტის მსვლელობის განმავლობაში, ან პროექტის ფარგლებში ყველა საქმიანობის დასრულებამდე და პროექტის ფორმალურ დახურვამდე აუცილებლად დასაკმაყოფილებელ მოთხოვნას წარმოადგენს. ობიექტზე მონიტორინგის მიზნით ვიზიტებს სააგენტო ყოველწლიურად ან უფრო ხშირად განახორციელებს, საჭიროებისამებრ და თავის შეხედულებისამებრ. სააგენტოს მიერ ანგარიშების განხილვისა და დამტკიცებისთანავე და საჭიროების შემთხვევაში ობიექტზე მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ვიზიტის დადებითი შედეგებით დასრულების შემთხვევაში, მოხდება პროექტის დაფინანსების თანხის გაცემა შემდგომი კვარტლისათვის.

პროექტის დასრულების შემდეგ, პროექტის ბოლო კალენდარული დღიდან ოთხი (4) კვირის ვადაში სააგენტოსთვის წარდგენილი უნდა იქნას უკანასკნელი კვარტლის ფინანსური და პროექტის განხორციელების საბოლოო ანგარიშები .

სააგენტო ანგარიშებს შეამოწმებს წარმოდგენიდან ოთხი (4) კვირის განმავლობაში და ბენეფიციარს შეატყობინებს აღმოჩენილი გადახრების ან დარღვევების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ.

საგრანტო დაფინანსების ხელშეკრულება შეწყდება თუ ბენეფიციარი აღმოჩენილი გადახრების და დარღვევების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში არ მოახდენს მათ კორექტირებას.

მონიტორინგის პროცედურის ამომწურავი სურათისათვის, გთხოვთ იხილოთ

გამოსახულება 2.

ცხრილი 2: მონიტორინგის პროცედურა



6.3.1.ანგარიშგება

პროექტის კვარტლის უკანასკნელი კალენდარული დღიდან ორი (2) კვირის განმავლობაში, 6.2.1 და 6.4.2 თავის შესაბამისად, კვარტალურად წარმოდგენილი უნდა იქნას პროექტის განხორციელების და ფინანსური ანგარიშები სხვა მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან ერთად, რასაც მოყვება მონიტორინგის მიზნით სააგენტოს თანამშრომლების ვიზიტი ობიექტზე (საჭიროებისამებრ). ანგარიშების განხილვისა და დამტკიცების შემდეგ და ობიექტზე მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ვიზიტის დადებითი შეფასების შემთხვევაში, ბენეფიციარი უფლებამოსილი იქნება მიიღოს პროექტის დაფინანსების თანხა შემდგომი კვარტლისათვის.

კვარტალური, პროექტის განხორციელების და/ან ფინანსურ ანგარიშებში აღმოჩენილი ისეთი ცვლილებების შემთხვევაში, რომელთა შესწორება ან კორექტირება შესაძლებელია და რომლებიც არ აჩვენებს ბენეფიციარის მხრიდან ფინანსური სახსრების და პროექტის არასწორ მართვას, ბენეფიციარს მოეთხოვება შეასწოროს კვარტალური პროექტის განხორციელების და/ან ფინანსური ანგარიში და ხელახლა წერილობითად წარუდგინოს იგი სააგენტოს. სააგენტო განახორციელებს დამატებით შემოწმებას და გადახდა განხორციელდება შესწორებული პროექტის განხორციელების და/ან ფინანსური ანგარიშების დამტკიცების შემდეგ.

საბოლოო პროექტის განხორციელების და ფინანსური ანგარიშების ნიმუშები ხელმისაწვდომი იქნება თანადაფინანსების გრანტების ვებ-პორტალზე .

თითოეული ანგარიში ხელმოწერილი და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამოწმებული უნდა იქნას ბენეფიციარის მიერ ავტორიზებული წარმომადგენლის მიერ, ნიმუშის შესაბამისად მომზადებული თითოეული ანგარიში უნდა დასკანერდეს და აიტვირთოს ვებ-პორტალზე. პროექტის განხორციელების და ფინანსურ კვარტალურ ანგარიშებს თან უნდა ერთვოდეს გასული კვარტლის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები და საბანკო ანგარიშიდან ამონაწერების ასლები. ანგარიშიდან ამონაწერები უნდა ასახავდეს წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებთან დაკავშირებულ ყველა საბანკო ოპერაციას. ამის გარდა, სპეციალური ანგარიშიდან ამონაწერი უნდა უჩვენებდეს, რომ ბენეფიციარმა უზრუნველყო თავისი წილის თანადაფინანსება მომდევნო კვარტლისათვის.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ბენეფიციარმა, სპეციალური საბანკო ანგარიშიდან არ უნდა განახორციელოს ისეთი თანხების გადახდა ან შეტანა, რომელიც პროექტთან არ არის დაკავშირებული. საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში მოთხოვნილი ოფიციალური ანგარიშების გარდა, ბენეფიციარის მოვალეობაა სააგენტოსათვის პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი, დადებითი ან სხვა

მნიშვნელოვანი მოვლენების შეტყობინება. სააგენტო ინფორმირებული უნდა იყოს პროექტის მდგომარეობის შესახებ. ხელსაყრელი ცვლილებების ან გაუთვალისწინებელი პრობლემების შემთხვევაში, სააგენტოს ადრეულ ეტაპზე ინფორმირება შესაძლებლობას მისცემს მის მენეჯმენტს, რომ პროექტის გუნდთან ერთად იმუშაოს და ნებისმიერი სახის საჭირო ცვლილებები შეიტანოს პროექტის ფარგლებში დაგეგმილ საქმიანობებში, კალენდარული გრაფიკსა და ბიუჯეტში.

სააგენტოს წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს პროექტში შესატანი ნებისმიერი ცვლილების (მაგ. პროექტის განხორციელებასთან, ვადებთან, პროექტის ბიუჯეტთან, წარმოსადგენ დოკუმენტაციასთან, პროექტის პერსონალთან და ა.შ. დაკავშირებით) შესახებ, რადგან ყოველივე ზემოხსენებული სააგენტოს წერილობით დასტურს საჭიროებს. ცვლილებები ძალაში ვერ შევა, სანამ ბენეფიციარი არ მიიღებს წერილობით დასტურს.

6.3.2. პროექტის განხორციელების ანგარიში

პროექტის განხორციელების ანგარიშის მიზანია სააგენტოს საშუალება მისცეს მონიტორინგი გაუწიოს პროექტის განხორციელებას და შეძლოს პროექტის შეუფერხებლად დაფინანსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება. ვადები, ლაკონურობა და საპროექტო წინადადებასთან შესაბამისობა ამ ანგარიშის ძირითადი მახასიათებლებია.

პროექტის განხორციელების ანგარიშში ასახული საანგარიშო პერიოდი უნდა ემთხვეოდეს თანმხლები ფინანსური ანგარიშის პერიოდს. სააგენტო პროექტის განხორციელების ანგარიშს მხოლოდ ორივე, პროექტის განხორციელების და ფინანსური ანგარიშების მიღების შემდეგ განიხილავს. ეს შესაძლებლობას მისცემს სააგენტოს, რომ პროექტის განხორციელების ანგარიშში ასახული შესრულებული ამოცანები და საქმიანობები ფინანსურ ანგარიშში მოცემულ შესაბამის დანახარჯებს დაუკავშიროს.

სააგენტოსთვის წარდგენილი პროექტის განხორციელების ანგარიშის კონფიდენციალურობა იმ ხარისხით იქნება დაცული, როგორც ეს აღწერილია დაფინანსების ხელშეკრულებაში. მიუხედავად ამისა, კონფიდენციალური ინფორმაცია რომელიც წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოს, ბენეფიციარის მიერ უნდა იქნას იდენტიფიცირებული/მონიშნული.

6.3.3.ფინანსური ანგარიში

ფინანსური ანგარიშის (**დანართი MG6**) მიზანს წარმოადგენს სააგენტოს მისცეს პროექტის ფარგლებში გაწეული ფაქტიური დანახარჯების მონიტორინგის საშუალება და დაეხმაროს პროექტის შეუფერხებლად დაფინანსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

ყველა ხარჯი, რომელიც გაწეული იქნა მიმდინარე პერიოდის განმავლობაში სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, გაწერილი უნდა იქნას საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებული პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად, და ასახული უნდა იქნას სპეციალური საბანკო ანგარიშიდან განხორციელებული ყველა გადახდა. **დანახარჯების აღიარება ხდება საკასო მეთოდის საფუძველზე**[23]. ამ ანგარიშებში ასახული არ იქნება ცვეთის დანარიცხები ფინანსური მართვის მოთხოვნების შესაბამისად. ანალოგიურად, ბენეფიციარი აღიარებს ხელფასების ხარჯებს გადახდის მომენტისთვის (დარიცხული ხარჯები არ ექვემდებარება ანაზღაურებას). ფინანსური ანგარიშები უნდა შეიცავდეს ხარჯების და გადახდების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, მაგალითად: ამონაწერები საბანკო ანგარიშებიდან, სახელფასო უწყისები, სამგზავრო ხარჯების უწყისები, კონტრაქტები (საჭიროებისამებრ), ინვოისები, საქონლის და მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტები, და შესყიდვასთან, კონტრაქტთან და კონსულტანტთან დაკავშირებული საგადახდო ორდერები და ა.შ.

სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგი უნდა მოიცავდეს კვარტალური ფინანსური ანგარიშების პროექტის შეთანხმებულ ბიუჯეტთან შესატყვისობის დადასტურებას და ყველა დამხმარე დოკუმენტის დეტალურ შემოწმებას.

თუკი სააგენტოს მიერ ფინანსური ანგარიშის შემოწმებისას წარმოიშვება რაიმე სახის პრობლემა, შესაძლოა ბენეფიციარს მოეთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ბენეფიციარს მოეთხოვება, რომ პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში, პროექტის სახსრების და მათი გამოყენების შესახებ გაკეთებული ფინანსური ჩანაწერები სხვა არსებული და/ან მომავალი პროექტების ჩანაწერებისაგან განცალკევებით აწარმოოს.

[23] ხარჯების აღიარება საკასო მეთოდის საფუძველზე გულისხმობს, რომ შესყიდვისას ბენეფიციარი გადახდის მომენტისათვის აღრიცხავს ხარჯებს ფინანსურ ანგარიშებში, და ანალოგიურად, ბენეფიციარის მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივები ასახულია პროექტის ბიუჯეტში (ან სააგენტოსათვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშებში) იმ ღირებულებით რაც მათ შესყიდვის მომენტისათვის გააჩნდათ.

6.3.4.მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ვიზიტები

სააგენტოს გრანტების ფინანსური მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტის და სააგენტოს სხვა წარმომადგენლების მიერ ობიექტზე მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ვიზიტები უპირველეს ყოვლისა ემსახურება იმის დადასტურებას, რომ პროექტის, გარემოზე ზემოქმედების და ფინანსური კუთხით აქტივობები მიმდინარეობს ისე როგორც ეს ანგარიშებში და პროექტის დოკუმენტებშია ასახული. სააგენტო მონიტორინგის მიზნით ობიექტზე ვიზიტებს ყოველწლიურად, ან უფრო ხშირად, საჭიროებისამებრ და საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელებს.

GFMES ბენეფიციარს მინიმუმ ერთი (1) კალენდარული კვირით ადრე წერილობით, ელ. ფოსტით აცნობებს ამგვარი ვიზიტის შესახებ. შეტყობინებაში მითითებული იქნება ვიზიტის დანიშნულება, შემოწმების საგანი, და ვინ უნდა დაესწროს შეხვედრას ობიექტზე ვიზიტის განმავლობაში. ბენეფიციარი, თავის მხრივ, სააგენტოს წარმომადგენლებისათვის უზრუნველყოფს ყველანაირ დოკუმენტაციის ან ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც საჭიროა მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ვიზიტისათვის, და ასევე უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ მოთხოვნილი პირების დასწრების საკითხს.

მონიტორინგის ვიზიტი ჩვეულებრივ გულისხმობს პროექტის განხორციელების პროცესის შემოწმებას (მაგ. როგორიცაა პროცედურები, ეტაპები გაზომვადი შედეგებით, შეთანხმებული ვადები, ამოცანები, შეთანხმებები, წესები და ფინანსური დოკუმენტაცია) და ასევე პირისპირ შეხვედრებს გუნდის შესაბამის წევრებთან.

ობიექტზე მონიტორინგის დასრულების შემდეგ, GFMES-ის და სააგენტოს წარომადგენლები პროექტის გუნდის შესაბამის წევრებთან ერთად განიხილავენ შედეგებს და განმარტავენ იმ მაკორექტირებელ ქმედებებს, რომლებიც ვიზიტის შემდგომ უნდა განხორციელდეს. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი იქნება რაიმე სახის პრობლემები, ბენეფიციარს მოეთხოვება ამ ხარვეზების აღმოფხვრა შეთანხმებულ ვადებში. შემდგომი დაფინანსება დამოკიდებულია პრობლემის სიმწვავეზე და პროექტი შესაძლოა შეჩერებული იქნას ხარვეზების გამოსწორებამდე.

6.4. მთავარი საქაღალდე

პროექტის დასაწყისში ბენეფიციარი შექმნის ე.წ მთავარ საქაღალდეს, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას. თითოეული საქაღალდე/ბაინდერი აღნიშნული უნდა იქნას ქვემოთ მითითებული ასოებით და სათაურებით:

(C) კორესპონდენცია

- ნებისმიერი ელ. ფოსტა ან ოფიციალური დოკუმენტაცია, რომლის გაცვლაც მოხდა განმცხადებელსა და სააგენტოს შორის განაცხადის შემოტანის პერიოდის განმავლობაში (მაგ. პასუხი სააგენტოს დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტისაგან, შეტყობინებები *სააგენტოსგან, და ა.შ.);

- ნებისმიერი ელ. ფოსტა ან ოფიციალური დოკუმენტაცია, რომლის გაცვლაც მოხდა ბენეფიციარსა და სააგენტოს შორის პროექტის განხორციელების პერიოდის განმავლობაში;

(F) შეტყობინება გრანტის მინიჭების შესახებ და საგრანტო ხელშეკრულება;

(P) პროექტის წინადადება - განაცხადი და დამხმარე დოკუმენტაცია, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-2-ე თავში;

(R) განხორციელება

- პროექტის განხორციელების ანგარიშები

- ფინანსური ანგარიშები, ყველა დამხმარე დოკუმენტაციის ჩათვლით (როგორიცაა ინვოისების, ხელშეკრულებების, გადახდის დოკუმენტების და ა.შ. ასლები.)

მთავარი საქაღალდე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ობიექტზე მონიტორინგის მიზნით ვიზიტის განმავლობაში.

6.5. დაფინანსების შეწყვეტა

სააგენტოს უფლება აქვს თავის შეხედულებისამებრ მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს და/ან შეწყვიტოს დაფინანსება, იმ შემთხვევაში თუ მოხდება თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის საგრანტო პროგრამის ან დაფინანსების ხელშეკრულების რომელიმე პირობის დარღვევა, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ქვემოთმოცემულით:

6.1.1 ბენეფიციარმა საჭიროებისამებრ დროულად ვერ უზრუნველყო პროექტის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები, რაც ასევე გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებაში გაწერილ ვადებში ამავე ხელშეკრულებაში მითითებული თანადაფინანსების თანხების ანგარიშზე ვერ შეტანას;

6.1.2 ბენეფიციარმა ვერ შეძლო დაფინანსების იმგვარად

გამოყენება, როგორც ეს განსაზღვრულია პროექტის შეთანხმებულ ბიუჯეტში, რაც ასევე მოიცავს ბენეფიციარის მიერ შეთანხმებული ბიუჯეტის ფარგლებში კატეგორიებს შორის სახსრების 15%-ზე მეტით გადანაწილებას სააგენტოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

6.1.3 ბენეფიციარმა ვერ შეძლო პროექტის განხორციელება სათანადო გულმოდგინებითა და ეფექტურობით და მყარი ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, ადმინისტრაციული, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სტანდარტების და ინსტრუქციების გათვალისწინებით, რაც ანტიკორუფციული პრინციპების შესაბამისად ასევე გულისხმობს, მცდარი ინფორმაციის მოწოდებას საპროექტო განაცხადის შემოტანის, შეფასების ან განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე და თაღლითობის ან არასამართლებრივი ქცევის შემთხვევებს;

6.1.4 ბენეფიციარმა ვერ შეძლო განეხორციელებინა პროექტი საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და EMP/ESMP-ის (საჭიროების შემთხვევაში) შესაბამისად, და დროულად გაეტარებინა ყველა საჭირო ღონისძიება სააგენტოს მიერ ბენეფიციარის საქმიანობის ESMP-ისთან შესატყვისობის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად;

6.1.5 ბენეფიციარმა საკმარისად ვერ დაიცვა ის კურსი და პროცედურები, რომელიც სააგენტოს მისცემდა პროექტის წინსვლის და მისი მიზნების განხორციელების მონიტორინგის და შეფასების შესაძლებლობას;

6.1.6 ბენეფიციარმა ვერ შეძლო სათანადოდ დაეცვა ფინანსური მართვის პრინციპები და მოემზადებინა ფინანსური ანგარიშები თანმიმდევრულად გამოყენებული საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, იმგვარად, რომ ადეკვატურად აესახა პროექტთან დაკავშირებული ოპერაციები, რესურსები და დანახარჯები;

6.1.7 ბენეფიციარის ბრალეულობით, ვერ განხორციელდა ბენეფიციარის ფინანსური ანგარიშების აუდიტი,

სააგენტოსათვის მისაღები დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ, თანმიმდევრულად გამოყენებული აუდიტის სტანდარტების შესაბამისად და ამგვარად სააგენტოს დროულად ვერ მიეწოდა აუდიტირებული ანგარიშები;

6.1.8 ბენეფიციარმა არ მისცა შესაძლებლობა სააგენტოსა და/ან მსოფლიო ბანკს, ჩაეტარებინათ პროექტის განხორციელების, მისი მუშაობის, და შესაბამისი ჩანაწერების და დოკუმენტაციის ინსპექტირება. ბენეფიციარმა არ მოამზადა და სააგენტოსა და მსოფლიო ბანკს არ მიაწოდა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია, რომელსაც სააგენტო ან მსოფლიო ბანკი დასაბუთებულად მოითხოვდა;

6.1.9 ბენეფიციარმა არ მოახდინა სააგენტოს ინფორმირება პროექტში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ (მაგ. პროექტის განხორციელებასთან, ვადებთან, პროექტის ბიუჯეტთან, წარმოსადგენ დოკუმენტაციასთან, პროექტის პერსონალთან დაკავშირებით და ა.შ.).

დაფინანსების შეჩერების შემთხვევაში, სააგენტო ბენეფიციარს გაუგზავნის წერილობით შეტყობინებას დარღვევის არსებობის შესახებ და მოსთხოვს მის აღმოფხვრას შეტყობინების მიღების თარიღიდან ორი (2) კვირის ვადაში. სააგენტო იტოვებს უფლებას შეწყვიტოს საგრანტო ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი ვერ შეძლებს ამ ვალდებულების შესრულებას.

თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის პროგრამის ან საგრანტო ხელშეკრულების რომელიმე პირობის დარღვევის გამო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, ბენეფიციარს მოეთხოვება სააგენტოს მიერ დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული თანხის მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურება.

იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი შეწყვეტს საგრანტო ხელშეკრულებას ან უარს განაცხადებს პროექტზე, იგი ვალდებულია სააგენტოს აუნაზღაუროს მასზე გაცემული მთლიანი თანხა.

7. დანართები

დანართი MG1 – ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო

დოკუმენტი

დანართი MG2 - ბიზნეს გეგმის ფორმა

დანართი MG3 - პროექტის ბიუჯეტი

დანართი MG4 – ხუთ წლიანი ფინანსური პროგნოზი

დანართი MG5 - აპლიკანტის განცხადება

დანართი MG6 - ფინანსური ანგარიში

დანართი MG6a - კვარტალური პროექტის განხორციელების ანგარიში

დანართი MG6b - საბოლოო პროექტის განხორციელების ანგარიში

დანართი MG7 - შესყიდვების ფორმები

დანართი MG8 - თანხის მოთხოვნის განაცხადის ფორმა

დანართი MG9 - საგრანტო დაფინანსების ხელშეკრულება